# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 იანვარი, 2010 წელი.

№ 8 (6374)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ანტიქრისტეს მისაღებად ვემზადებით?

2



## მოკვეთილი თავი სჯობს თუ ტყვიით გახვრეტილი?

### გამოწვევაც ასეთი უნდა!..

2

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პარლამენტი „აირჩევს!“



## ქართული ჯარის ვითომდა არაადამიანური მოქმედებების კადრები რუსებმა ოჩამჩირეში გადაიღეს

5




## გარდაიცვალა... ქართული რადიო!

85 წლის ასაკში, არცთუ მოულოდნელად, „გარდაიცვალა“ ქართული რადიო. პანაშვიდებზე და გასვენების ხარჯებზე არავინ საუბრობს, თუმცა ჩვენი, აწ უკვე უმუშევარი, კოლეგების თქმით, დღეიდან საქართველოს რადიოში მხოლოდ მუსიკა იჟღერებს... უქმდება 2 რადიოსიხშირე, 200-მდე ჟურნალისტს საახალწლო საჩუქარი გაუკეთეს და... უმუშევარი დატოვეს.

ამ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურნენ პარლამენტში. გიორგი ცაგარეიშვილმა პრესკონფერენცია გამართა და მომხდარს ამაზრზენი და ტრაგიკული უწოდა. „კავკასიური მაუწყებელი (1Kძ ქართველი ჟურნალისტების მსხვერპლის ფასად იქმნება“, – აცხადებს იგი და მის ტელეფონზე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან განხორციელებულ ზარზე საუბრობს, რომელიც დეპუტატის თქმით „SOS“-ის რეჟიმში განხორციელდა.

„რატომ უნდა ეწირებოდნენ ეს ადამიანები პამფილოვის შრომის ანაზღაურებას და რატომ უნდა დადგეს მათი ოჯახების კეთილდღეობა კითხვის ნიშნის ქვეშ? პამფილოვს უბრალო ანაზღაურებას ვინ აკადრებს, მისი „კეთილმოწყობაც“ ხომ გასათვალისწინებელი ხარჯებია, აღარაფერს ვამბობ გაუთვალისწინებელზე, რომელიც ამ ბურუსით მოცულ პროექტს უთუოდ ექნება მომავალში, რადგან მისი სატელიტზე გასვლაცაა დაგეგმილი; ეს სიამოვნება, მოგეხსენებათ, თვეში „სულ რაღაც“ 20. 000 დოლარი ჯდება“ – აფრთხილებს საზოგადოებას დეპუტატი და ტელევიზიის ხელმძღვანელობას მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებს.

ჩვენი კოლეგის, ქართული რადიოს თანამშრომლის განცხადებით, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ხელმძღვანელობამ ყოვლად უცერემონიოდ, დაუსაბუთებლად და შრომითი კოდექსის გვერდის ავლით დაითხოვა ისინი სამსახურიდან.

ქეთევან ჯაყელი



7

## „ჩხიკვთა ქორწილი“ – სამ თაობასთან ერთად

8

## WELCOME TO ESTONIA, მიშიკო!

DELFI

## ფუძიამას დაწყევლილი მთა

6

პოლიტწკიპურტი

# მოკვეთილი თავი სჯობს თუ ტყვიით გახვრეტილი?

## ანუ „დემოკრატიის მეორე ტალღიდან“ წინ... სოციალიზმისკენ?!

**ახლახან საზოგადოებრივ მაუწყებელზე დავით პაიჭაძეს თავის გადაცემაში ცესკოს ოპოზიციონერი წევრი გოჩა ჯოჯუა ჰყავდა მიწვეული. — ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შემოთავაზებული მეთოდი დაახლოებით იმას ჰგავს, სიკვდილმისჯილს რომ უთხრან, — აირჩიე, რა გირჩევნია, — გილიოტინა, ჩამოხრჩობა თუ დახვრეტაო, — თქვა რესპონდენტმა.**

**ვიდრე ამის თობაზე საკუთარ მოსაზრებას მოგახსენებდეთ, მანამდე — მცირეოდენი გადახვევა...**



**ამ რამდენიმე დღის წინათ „იმედზე“ განმეორებით აჩვენეს „ღამის შოუს“ ადრინდელი გადაცემა. ნანუკა ჟორჟოლიანი უძღვებოდა მსჯელობას „ექსპერტებისას“, რომლებიც საქართველოს რამდენიმე ტელეარხს წარმოადგენენ და მათს ინტერესებს „იცავდნენ“.**

**„რუსთავი-2“ის „წარმომადგენელმა“ ირაკლი კაკაბაძემ რუსთაველები შეაქო რაღაცისთვის (ზუსტად არ მახსოვს, რისთვის).**

**— ეს ხომ ცოცხალი ტყუილიაო! — შეუძახეს მას სხვა არხების „ლობისტებმა“.**

**— სამაგიეროდ როგორ კოხტად არის შეფუთულიო! — მოსწრებული პასუხისთვის გადაცემის დამსწრე-მონაწილეთა ტაში და სიცილი დაიმსახურა ირაკლიმ.**

არ ვიცი, თანამოაზრე-მხარდამჭერთა გარდა, ვის ტაშსა და მოწონებას დაიმსახურებენ ნაცმოელები და მიხეილ სააკაშვილი მათ მიერ შემოთავაზებული ცესკოს თავმჯდომარის „დემოკრატიული არჩევნების“ მეთოდის, მათი აზრით, კოხტად შეფუთვისთვის, მაგრამ, თუ შეულამაზებლად და მიუკიბ-მოუკიბავად ვიტყვით, მას ჭეშმარიტ დემოკრატიასთან ფაქტობრივად რომ არაფერი აქვს საერთო და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას უფრო წააგავს, ფაქტია.

ხომ გახსოვთ, მკითხველო, საბჭოეთისდროინდელი „არჩევნები“, რომელშიც, როგორც წესი, მუდამ ამომრჩეველთა 99,9 პროცენტი მონაწილეობდა და რომლის დროსაც არჩევანის გაკეთება სულ არ იყო საჭირო — უნდა აგვერჩია მხოლოდ ის ერთადერთი კანდიდატი, რომლის არჩევაც მაშინდელ უმაღლეს ხელისუფლებას სურდა.

ახლა კი, „დემოკრატიის მეორე ტალღის“ პირობებში, რა შედარებაა — პრეზიდენტმა უკვე არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ წარმოდგენილი 14 კანდიდატიდან საკუთარი შეხედულებით შერჩეული სამი კანდიდატურა შესთავაზა ცესკოს თავმჯდომარედ ასარჩევად, თანაც ყველას კი არა, უწინარესად ცესკოს ოპოზიციონერ წევრებს (ნახეთ, როგორი დემოკრატია!ძ — **სამიდან ერთი აირჩიეთო** (დიახ, სწორედ ასეა და ზოგიერთი ენა თუ გონებაკვიმატ მკითხველს დაბეჯითებით ვთხოვ, თავი შეიკავოს ამ შეთავაზების ნებისმიერი კუთხით ინტერპრეტირებისგან, იგი პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვას და არა...ძ!

მაგრამ გუშინ ისინი — ცესკოს ოპოზიციონერი წევრები გაჯიქდნენ — არც გილიოტინა გვინდა, არც — ჩამოხრჩობა და არც — დახვრეტაო, — ზოგმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, ზოგმა სამივე კანდიდატურა გადახაზა!

**როგორც მოსალოდნელი იყო, ბურთი და მოედანი პარლამენტს დარჩა. ახლა იგი გააკეთებს არჩევანს და ოპოზიციას** (და სამწუხაროდ, არა მარტო მასძ **საბოლოოდ მაინც სამიდან ერთი** (არჩეული) **შერჩება (კვიმატთა საყურადღებოდ კვლავ ვიტყვი, ადამიანებზე ვლაპარაკობ და არა...)!**

თუმცა ერთი კია: ხელისუფლებას რომ მითქმა-მოთქმისა თუ რამენაირი ინტერპრეტირების თავიდან არიდება ნდომოდა, ამგვარ „დემოკრატიულ ფარსს“ არ მოიფიქრებდა, თანაც ერთობ პრიმიტიულს: **აქაოდა, მეტი რა ვქნათო, კანდიდატები არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინესო, იქიდან შერჩეული სამი კანდიდატიდან კი ერთი ოპოზიციონერებს უნდა აერჩიათო!**

ბნელა, ბატონებო? აი, უშუალოდ იმ 14 კანდიდატიდან რომ ჰქონოდათ ოპოზიციონერებს ერთის არჩევის საშუალება, მაშინ, როგორც მუხრან მაჭავარიანი იტყოდა, კიდევ ჰო, მაგრამ...

ახლა კი რა გამოვიდა? **ლევან თარხნიშვილი** ვინც და რაც არის, კაკო ბლაჭიაშვილისა არ იყოს, ბავშვმაც კი იცის. თავმჯდომარედ ასარჩევად წარდგენილ კიდევ ორ კანდიდატს — **ზურაბ ხარატიშვილს** და **ოთარ სიჭინავას** პირადად არ ვიცნობ და ვერც ვერაფერს ვიტყვი. თუმცა რა საჭიროა რაიმეს თქმა, როდესაც მათი „პარტიული წარმომავლობა“ ამბობს ყველაფერს? — პირველი მათგანი საზოგადოებრივი საბჭოს ნაცმოძრაობის კვოტით არჩეული წევრია, მეორე კი — საკონსტიტუციო სასამართლოსი, სადაც, ცნობილია, „სხვაგვარად“ მოაზროვნეს არც გააჭაჭანებენ (როგორც იტყვიან, წამლად მაინც შეგვერიათ ამ „ტროიკაში“ თუნდაც მეტ-ნაკლებად ოპოზიციურად განწყობილი კანდიდატი, ბატონო პრეზიდენტო!ძ!

**მაშ, რა გამოდის? გვინდა თუ არა, სამიდან — ერთი?**

**ვნახოთ, ვის შერჩება იგი ბოლოს, სულ ბოლოს, ბოლოს!**

**რუსლან რუსია**

ინფორმაცია თემაში

## გამოწვევაც ასეთი უნდა!..

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პარლამენტი „აირჩევს!“

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატები აირჩევენ. ამის მიზეზი ის გახდა, რომ პრეზიდენტის მიერ დასახელებული სამი კანდიდატიდან თავმჯდომარის გამოვლენა ცესკოს წევრებმა ვერ შესძლეს.**

**შეგახსენებთ, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ახლახან შეტანილი ცვლილებების თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დასამტკიცებლად კომისიის 6 ოპოზიციონერი წევრიდან მინიმუმ 4-ის მხარდაჭერა იყო საჭირო, გუშინ გამართულ სხდომაზე კი კომისიაში ორი ოპოზიციური პარტიის ლეიბორისტების და კონსერვატორების წარმომადგენლებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, დანარჩენი ოთხის: „ქრისტიან-დემოკრატების“, „მრეწველების“, „რესპუბლიკელების“ და გაერთიანების „ჩვენ თვითონ“ წევრებმა კი ბიულეტენები გადახაზეს.**

**აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის მიერ ამ პოსტზე წარდგენილმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო!**

**ცესკოს თავმჯდომარის არჩევა დეპუტატებს რიგგარეშე სხდომაზე მოუწევთ, რომელიც კანონით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოში 21 იანვრამდე უნდა დაინიშნოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

დედაეკლესია

***ბოლო ხანს საზოგადოების ნაწილი საქართველოს საპატრიარქოსა და უშუალოდ პატრიარქს ილია მეორეს აქტიურად აკრიტიკებს. გავრცელდა არაერთი მიმართვა, რომელშიც ძირითადად ეკლესიის მეთაურების საბჭოთა წარსულზე და რუსეთისადმი კეთილგანწყობაზეა საუბარი. ეს პროცესი ყურადღების მიღმა არც თავად პატრიარქს დარჩენია. მის საშობაო ეპისტოლეში ნათქვამია: „კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე — ინფორმაციულ ომზე გადავიდა, რომელიც ძირითადად მასმედიის საშუალებით ხორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებითვე უნდა გაეცეს პასუხი“. თუმცა ამ თემაზე დისკუსიების წარმართვისგან საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენლები ჯერჯერობით თავს იკავებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „პირველი“ საეკლესიო ჟურნალ „სამრეკლოს“ გამომცემელს, ჟურნალისტ მამუკა გიორგაძეს ესაუბრა.***

## ანტიქრისტეს მისაღებად ვემზადებით?



**— ბატონო მამუკა, ბოლო დროს საზოგადოების ნაწილი საქართველოს საპატრიარქოს აქტიურად აკრიტიკებს. გაეცანით თუ არა მიმართვას, რომელიც მათ საქართველოს პატრიარქს გაუგზავნეს და როგორ აფასებთ მას?**

— დიახ, ჩემთვის ცნობილია ამ დოკუმენტის შესახებ. სხვათა შორის, ის ორნაწილიანია და მისი მეორე ნაწილი პირველის სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენს, მხოლოდ კითხვებით უკვე საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ. პირველ რიგში, ერთ გარემოებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება: თქვენ ახსენეთ, რომ პატრიარქს ამ კითხვებით „საზოგადოების ნაწილმა“ მიმართა. იგივეს ამბობენ თავად ამ კითხვარის ინიციატორებიც. ერთის მხრივ, ცხადია, რომ ადამიანთა გარკვეული ერთობა, რაოდენობრივად როგორი მცირეც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც ერთი ადამიანი, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ამ მოვლენის არსში უკეთ გავერკვევით და ყველაფერს ნამდვილ სახელს დავარქმევთ, საკითხის დაფარული მხარის გარკვევა უფრო გაგვიადვილდება და იმასაც შევამჩნევთ, რომ ტერმინი „საზოგადოების ნაწილი“ ამ კითხვარებისთვის განსაკუთრებული წონის მისაცემად იყო გამოყენებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ კატეგორიასთან. მათთვის დამახასიათებელია ბრძოლა და დისკრედიტაცია იმ ღირებულებებისა, რომელიც არა მარტო ეროვნული თვალსაზრისით არის ჩვენთვის ძვირფასი და რომელზეც საუკუნეებია, ჩვენი ერი დგას, როგორც თვითმყოფადი სახისა და ხასიათის მქონე, არამედ ზოგადადამიანური თვალსაზრისითაც, რაც ჭეშმარიტ რწმენას გულისხმობს. ყველაფერ ამას ისინი „ლიბერალიზმის“ იდეის დროშის ქვეშ ეწევიან, რასაც ჩვენში დამახინჯებული, ფსევდოლიბერალიზმის სახე აქვს. თავად ამ ორი კითხვარის შესახებ კი ვიტყოდი, რომ მათი ცალკე, დამოუკიდებელ მოვლენად შეფასება არ იქნება მართებული. აღნიშნული დოკუმენტი იმ ჯაჭვის ერთ-ერთ მცირე რგოლს წარმოადგენს, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად იქსოვება და ზოგადად ქართული, ან, უფრო სწორად, ეროვნულ-ზნეობრივი ცნობიერების წინააღმდეგაა მიმართული, იმ ცნობიერების წინააღმდეგ, რომელსაც, თავის მხრივ, ფესვი სწორედ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში აქვს გადგმული. ცხადია, ისმის კითხვები - რატომ? რა მიზნით? შეიძლება, ასეთი პასუხით შემოვიფარგლოთ — „ახალი ტიპის“ ადამიანის ფორმირებისთვის — ჭეშმარიტ რწმენას მოწყვეტილი, ეროვნულიდენტობადაკარგული, გულ და გონებადაბინდული ადამიანების მისაღებად, რათა ისინი იოლი სამართავი და მოსატყუებელნი გახდნენ.

**— ვის და რაში სჭირდება ეს?**

— თუ ძირის ძირში ჩავყვებით ამ საკითხს, მაშინ პასუხი ასეთი იქნება: იმისთვის, რისთვისაც გარკვეული ძალები სამყაროს ამზადებენ — ანტიქრისტეს მისაღებად, რომლის ამოსაცნობად აუცილებელი იქნება სულიერი თვალი და გონება, ამას კი, თავის მხრივ, ადამიანებს სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია აძლევს და უნარჩუნებს. წმიდა მამების გადმოცემით, მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინაპირობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი საყოველთაო აპოსტასია, ანუ ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან განდგომა იქნება. აი, ამ პროცესის გარკვეული გამოვლინებების მოწმენი ვხდებით ჩვენ დღეს. მართალია, ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, საკმაოდ უსუსური მოვლენაა ამ ფონზე, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, მაინც მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, თუ რა გამხდარა, კითხვარების ავტორთა თქმით, ამ მიმართვების საბაბი. აი, რა წანამძღვარი აქვს პატრიარქის მიმართ გამოთქმულ კითხვებს: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და აცხადებს, რომ არის ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი და ქვეყნის ეროვნული იდენტობის სახე. აქედან გამომდინარე, ჩვენ, მოქალაქეები, მივიჩნევთ, რომ პასუხი უნდა გაეცეს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობების ცხადად წარმოჩენას.“ ჯერ ერთი, არსად მსმენია, საპატრიარქო ამგვარი ფორმულირების შემცველი განცხადებით გამოსულიყოს. რაც შეეხება იმის ფაქტად გასაღებას, რომ საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ამ ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ეს არსებული სინამდვილის დამახინჯებული ინტერპრეტაციაა და ალბათ, მისი ასე წარმოდგენა რაღაც შორსგამიზნულ ამოცანას ემსახურება. მართალია, ხანდახან თვითონ პოლიტიკური პროცესები ისეთ ხასიათს იღებს, რომ ძალაუნებურად სხვა მასშტაბებს იძენს და საქართველოს ეკლესია, როგორც ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიულად განსაკუთრებული როლის მქონე (ეს გარემოება ჩვენი კონსტიტუციითაც არის, სხვათა შორის, დადასტურებულიძ, იძულებული ხდება, გარკვეული კომპეტენციის ფარგლებში ჩაერიოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის „ამ ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში“.

იხ. 4 გვ.

SIC!

***ბათუმის საახალწლო ფარჩა-ატლასებისა და საოპერო ვარსკვლავების კონცერტს ხელისუფლებამ „ნაბახუსევზე“ პოლიტიკურ-პატრიოტული ჟანრის პატარა სპექტაკლიც მიაყოლა. მშენებარე „შერატონის“ დიდი და ცისფერი ბანერის ფონზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობარი, სვანეთში მონათლული ამერიკელი სენატორი და პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ მაკკეინი საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. ასე, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მერაბ კოსტავას, 1993 წელს სოხუმში დახვრეტილი ჟიული შარტავასა და 2004 წელს ცხინვალში დაღუპული ჯარისკაცის ზაზა დამენიას შემდეგ, როგორც იქნა ერთი ცოცხალი ეროვნული გმირი გვყავს... ისიც ვიეტნამის ომში ნაწამები ამერიკელი ჯარისკაცი და მერე პოლიტიკაში გამობრძმედილი, ცნობილი გენერალი.***

# ჯონ მაკკეინი – „ერთგული ხელი“ ინდიელთა მეგობარი

1970-იან წლებში აღმოსავლეთ გერმანიის კინოსტუდია „დეფა“ იღებდა ხოლმე ოდნავ სასაცილო ფილმებს ინდიელებზე, ექს-იუგოსლაველი ვარსკვლავის გოიკო მიტიჩის მონაწილეობით: ღირსეულად უბედურ და რეზერვაციებში ნელ-ნელა გაჟუჟულ



ინდიელებს მხსნელად უსათუოდ ერთი თეთრკანიანი დამცველი გამოუჩნდებოდა ხოლმე. ერთ-ერთ ფილმს ასე ერქვა – „ერთგული ხელი ინდიელთა მეგობარი“. მაგრამ ეს გარდასული დღეების კინოკლასიკაა. რეალურად კი 2008 წელს ნაომარ საქართველოს ერთი ასეთი „ერთგული ხელი“ – ჯონ მაკკეინი ეწვია და მხურვალე სიტყვით გაამხნევა ხუთდღიან ომში წაგებული „პატარა და ამაყი ქვეყანა“ (სხვათა შორის, შემოდგომაზე და არა ზაფხულში, როგორც სააკაშვილმა ბრძანა, ხოლო გამოცდილ გენერალს საკმაოდ წარუმატებელი საარჩევნო კამპანია დიდი ხნით სულაც არ მიუტოვებიაძ.

ჩვენი ტელეარხები ხალისით იხსენებდნენ გულისამაჩუყებელ კადრებს და მაკკეინის ფრაზას: „ახლა ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“. თუმცა მხურვალე საერთაშორისო მხარდაჭერამ საერთაშორისო დამკვირვებლები რატომღაც 40 კილომეტრში მდებარე ახალგორშიც ვერ შეიტყუა.

გადაჭარბებულ მხატვრულ აღწერას სრულებითაც არ საჭიროებს დარბაზში შეკრებილი „ნაციონალური“ პუბლიკა (გეგონება ყასიდად მოწვეული, თუნდაც თითო-ოროლა ლეგალური ოპოზიციონერი მაკკეინს კისრიდან ჩამოგლეჯდა საქართველოს ეროვნული გმირის ორდენსძ; ისევე როგორც მხურვალე და წინასაწარ დასწავლილ-მომზადებული აპლოდისმენტები და პრეზიდენტის უკვე ჩვეული სიურეალისტური, დროსაცდენილი თხრობა. და მაინც, მთავარი „მიზანსცენა“ მაკკეინისათვის უცნობი რუსი ოფიცრისგან გამოსყიდული, 9-მილიმეტრიანი კალიბრის მქონე „ბრაუნინგის“ გადაცემა აღმოჩნდა (რომელიც ცხადია, შემდგომ და საგანგებოდ არის მოოქროვილიძ. „იმ ჯილდოთაგან, რომელიც მიმილია, ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი და მას გულში შევინახავ„ – ასეთი იყო ამერიკისთვის ნაწამები გენერლის, ვერშემდგარი პრეზიდენტის, საქართველოს გულმხურვალე ლობისტის პასუხი.

თუ გავითვალისწინებთ რა უცნაურობამდე რიტუალური და ინფანტილურობამდე გულუბრყვილო დამოკიდებულება აქვთ „ინდიელების“ მხსნელად მოვლენილი „თეთრკანიანი“ სენატორებისა და პატრიცების მიმართ, გასაგები გახდება, რომ ეროვნული გმირობის შანსი საკუთარ ქვეყანაში გაცილებით ნაკლებია. პირიქით, შეიძლება უხმაურო-გმირული საქციელი (ასეთი მაგალითები თუნდაც 2008 წლის ომის დროსაც იყოძ ვილაცას მოღალატეობად ჩაუთვალონ, ხოლო უბრძოლველად ჩაბარებული კოდორის ხეობა და ათობით დანგრეული სოფელი შიდა ქართლში – სიბრძნედ თუ იძულებით გმირობად („ტანკებმა ორჭოსანში აუხვიეს, ნუ გეშინიათ“..ძ?!

ყველაზე ცინიკური ისაა, რომ საკუთარი ქვეყნისათვის ასობით დაღუპული ახალგაზრდის თავგანწირვა შეფასებისა და ვაჭრობის საგნად იქცა. ხელისუფლებამ დიდი-დიდი ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი გაიმეტოს, ისიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის გულხურვალე დაპირება, რომ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები 10 ათას ლარს მიიღებდნენ, აღარც ამ დაპირების ავტორს ახსოვს. სხვისი სიცოცხლის ფასად ნაყიდი მშვიდობა ქვეყანაში და საკუთარი ძალაუფლების განტკიცება ალბათ პატრიოტული სადღეგრძელოების დიაპაზონს მომავალშიც გააფართოებს. ეს კი უფლებას გვაძლევს დიდი სტუმრების მიმართ განსაკუთრებით გულუხვი ვიყოთ. რა იცი, იქნებ ამერიკის უახლოესი მომავალი რესპუბლიკელებს ეკუთვნით?

კინაღამ დამავიწყდა, რომ ეროვნული გმირის ორდენი მხოლოდ ჯილდო არ არის და იგი ანაზღაურებასაც გულისხმობს; უფრო ზუსტად, საშუალო შრომითი ანაზღაურების 500 ნორმას. შესაბამისად ჯონ მაკკეინს ჯილდოსთან ერთად, სულ მცირე, 25-30 ათასი ლარი მაინც უნდა მიელო. მაინტერესებს, უფულოდ გააცილეს ამერიკელი გენერალი თუ მისი საბანკო ანგარიში ფინანსთა სამინისტრომ ადგილზევე შეავსო დოლარზე გადაყვანილი და ფინანსური კრიზისით ნატანჯი ლარებით?!

**დავით ბუხრიკიძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

პარტიებსა და მოძრაობებში

# ყოველი დღე ადასტურებს, რომ ხსნა დემოკრატიაშია

## „თეთრი მოძრაობის“ განცხადება

პრეზიდენტის გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაძლო კანდიდატურების თაობაზე არის ზუსტი ნიშანი იმისა, რომ ერთადერთი, რისაც სააკაშვილს და მის გარემოცვას ეშინია – ეს არის დემოკრატია.

მხოლოდ დიქტატორს, მხოლოდ ერთმმართველს, მხოლოდ მშიშარას, მხოლოდ სკამზე სისხლისღვრამდე შეყვარებულს, მხოლოდ კორუმპირებულს და კორუმპირებულთა დამცველს შეეძლო ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში – სამი ერთნაირად თავისიანისათვის, როგორც ზუსტად ითქვა, „სამი თარხნიშვილისათვის“ მიეცა რეკომენდაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. **ეს კიდევ ერთხელ არის დასტური იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ არის მისი იდეოლოგიური წინაპრის „მოქკავშირის“ მიერ დამკვიდრებული ანტიდემოკრატიული და ანტიქართული წესის – „არჩევნებს იგებს არა ხალხი, არა გამარჯვებული პოლიტიკური ძალა, არამედ ის პარტია, და ის ჯგუფი, რომელიც ხმებს ითვლის“ – ერთგული.**

**სააკაშვილს და მის რეჟიმს დღეს მთავარ ამოცანად აქვთ ის, რომ არ დაკარგონ ხმის დამთვლელის სტატუსი, ანუ გამყალბებლის სტატუსი.**

ჩვენ ერთგული ვართ ჩვენს მიერ არჩეული გზის – **„ქვეყნის ხსნა დემოკრატიაშია“** და ყველას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულება, მოვუწოდებთ მხარი დაუჭირონ საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს, დემოკრატიაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალებს.

ჩვენ ვთვლით, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლების ამ ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებას პოზიტიურად გამოეხმაურება, ამ პოლიტიკურ ფარსში მიიღებს მონაწილეობას, ამით დაადასტურებს, რომ ის არის ან სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის სატელიტი, ან გარიგებულია ხელისუფლებასთან, ფიქრობს ფულზე, სკამებზე და არა ქვეყანაზე.

**ყველამ, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილს და მის რეჟიმს – დემოკრატიით შეშინებულს, ქვეყანა მიჰყავს პოლიტიკური დაძაბულობისაკენ.**

**როგორც არასდროს, დღეს ქვეყანას სჭირდება კონსოლიდაცია დემოკრატიულ ფასეულობათა ირგვლივ. ეს არის ერთადერთი გზა გავანთავისუფლოთ საქართველო ერთმმართველი რეჟიმისაგან, რომ ქვეყანაში დამყარდეს ნიჭის ძალაუფლება, ნაცვლად დღეს არსებული ფულის, უნიჭობისა და ძალადობის ძალაუფლებისაგან.**

**„თეთრები“ ვდგავართ იმ ხალხთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომლებიც ამ პრინციპებით მოქმედებენ, რომლებიც როგორც არჩევნების, ასევე არჩევნების ბოიკოტირების პროცესს განიხილავენ როგორც ერთიანი დემოკრატიული პროცესის შემადგენელ ნაწილს, იზიარებენ „ეროვნული ყრილობის“ იდეას, ახალი კონსტიტუციის რეფერენდუმის გზით მიღების პრინციპს და რომლებიც თვლიან, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.**

ახალი პოლიტიკური ძალის „თეთრი მოძრაობის“ („თეთრების“ძ სახელით

**თეიმურაზ შაშიაშვილი.**

13 იანვარი, 2010 წელი

შეფასება

# საქართველო – ნაწილობრივ თავისუფალ, რუსეთი კი კვლავ არათავისუფალ ქვეყნებს მიაკუთვნეს

**საერთაშორისო ორგანიზაცია „Freedom House“-ის მონაცემების თანახმად, საქართველო – ნაწილობრივ თავისუფალი, რუსეთი კი არათავისუფალი ქვეყნების რიცხვში მოხვდა. ორგანიზაციამ მსოფლიოში სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების დაცვის შესახებ ყოველწლიური ანგარიში „თავისუფლება მსოფლიოში“ გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წელს განვითარებული მოვლენების შესაბამისად იქნა შედგენილი.**

ამ ანგარიშში ისევე, როგორც მის წინამორბედში, საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად არის შეფასებული. „Freedom House“-ის კრიტერიუმებით, ნაწილობრივ თავისუფალია ქვეყანა, რომელშიც პოლიტიკური უფლებები შეზღუდულია, ხშირად დომინანტია ერთი პოლიტიკური პარტია, არსებობს კორუფციული გარემო, კანონის უზენაესობა სუსტად არის გამოსახული და ადგილი აქვს ეთნიკურ ან რელიგიურ დაპირისპირებას. ამასთან, „Freedom House“-ის ანგარიშში ცალკე, „მსოფლიოს სადავო ტერიტორიების“ რიცხვშია შეფასებული საქართველოს სეპარატისტული რეგიონები. ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, აფხაზეთს – „ნაწილობრივ თავისუფალის“, ე. წ. სამხრეთ ოსეთს კი „არათავისუფალის“ ტერიტორიის სტატუსი ერგოთ. ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში 2009 წელს ვითარება „პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებზე რუსეთის გაძლიერებულმა გავლენამ გააუარესა, ხოლო რუსეთისგან მიღებულმა დახმარებამ ადგილობრივ ელიტაში კორუფცია გააძლიერა“.



რაც შეეხება თავად რუსეთს, „Freedom House“-ის ანგარიშის მიხედვით, ის კვლავ „არათავისუფალი ქვეყნების“ რიგშია. გრაფაში „მიმდინარე სიტუაცია“ რუსეთის გასწვრივ, ისევე, როგორც ერთი წლის წინათ, მითითებულია „სიტუაციის ტენდენციური გაუარესება“. ასეთი შეფასება რუსეთს, პირველ რიგში, ოპოზიციური სამართალდამცველებისა და ჟურნალისტების „პოლიტიკურ მკვლელობათა ჯაჭვის“ გამო მიეცა. აღსანიშნავია, რომ Freedom House-ის სამართალდამცველები უკვე მეექვსე წელია, რუსეთს არათავისუფალ ქვეყნებს მიაკუთვნებენ. ამავე კატეგორიაში არიან ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ირანი, ჩინეთი, კუბა, ვენესუელა და პრაქტიკულად ყველა შუააზიური სახელმწიფო. ამასთან, რუსეთმა „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფიდან „არათავისუფალში“ 2004 წელს გადაინაცვლა და დღემდე იქ რჩება. საყურადღებოა, რომ 2009 წლის მონაცემებით, Freedom House-მა „არათავისუფალ“ ქვეყნებად მსოფლიოს 47 სახელმწიფო სცნო. ეს ხუთჯერ მეტია 2008 წელთან შედარებით. თავისუფალ ქვეყნებად გამოცხადებულია 89 სახელმწიფო, ნაწილობრივ თავისუფლად – 58 ქვეყანა. ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან „თავისუფალ ქვეყნებში“ მხოლოდ ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და უკრაინა მოხვდნენ. ცნობისთვის, ორგანიზაცია Freedom House 1941 წელს დაფუძნდა. ის აშშ-ისა და რიგი საქველმოქმედო ფონდების მიერ ფინანსდება. ორგანიზაცია 1973 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს ყოველწლიურად აქვეყნებს. მოხსენებაში ღია წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოს 194 ქვეყანასა და 16 არჩეულ და სადავო ტერიტორიებზე პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლების მდგომარეობა ფასდება.

**„პირველი“**

**დედაეკლესია**

# ანტიქრისტეს მისაღებად ვემზადებით?

(მეორე გვერდიდან)

**— თქვენ „შორსგამიზნული ამოცანა“ ახსენეთ... რა გაქვთ მხედველობაში?**

— მხედველობაში მაქვს ის, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს საკონსტიტუციო შეთანხმება, რომელიც შევარდნაძის დროს გაფორმდა და რომლითაც ეკლესიისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები გამიჯნულია. ალბათ, მიმართვის ავტორებს საზოგადოებაში ისეთი შთაბეჭდილების შექმნა სურთ, რომ ეკლესია ამ შეთანხმებას არღვევს, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იჭრება და საერთოდ, მათ მიზანსწრაფვაში აშკარად გამოსჭვივის იმის სურვილი, რომ ამ შეთანხმების არსებობის მიზანშეწონილობა გადაიხედოს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო შეთანხმება რატომღაც ძალიან ეჩხირებათ ყელში და მის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ტიპის მოქმედებები თავს ადრეც ავლენდა. აღნიშნული სულისკვეთება კარგად ჩანს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ კითხვარში, სადაც აქტუალურია „სეკულარიზმის“ თემა. „საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა წინააღმდეგობაში მოდის სეკულარული სახელმწიფოს ძირეულ პრინციპებთან,“ — ნათქვამია მიმართვაში. როგორც ჩანს, კითხვართა შემოქმედებითი ჯგუფი ამის გამო შეშფოთებულია. ძალიან საინტერესოა, რომ ხელისუფლების სხვა საქმეები მათ შეშფოთებას არ იწვევს. რაც შეეხება თავად სეკულარულ სახელმწიფოს... ვინ დაადგინა ნეტავ, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფოა უკვე?! ან ვინ გამოიკვლია, რომ ჩვენს ერს ასეთი სახელმწიფო უნდა?! სად გამოიკითხეს?! თუ მათ იდეოლოგიურ პატრონებს ასე სურთ, ეს არის საკმარისი, რომ ასე იყოს?! მაგრამ აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე: ამ მეთოდით ალბათ, ცდილობენ, საზოგადოების ცნობიერებაში ეს აზრი დაამკვიდრონ. ამასთან, ტერმინი „სეკულარიზმი“, ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოების ეკლესიის სასულიერო გავლენისგან გათავისუფლებას ნიშნავს. არსობრივად კი ეს არის სულიერებაგამოცლილი საზოგადოება, სადაც ცრუ თავისუფლების ლოზუნგით უკვე ადვილია ღირებულებების აღრევა, ცოდვის არსის მიჩქმალვა და მისი ნორმად წარმოჩენა. არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ კითხვარის ხასიათთან დაკავშირებით გამოაშკარავდა, როგორც გარკვეული მეთოდი: ეს არის სიცრუისა და რაღაც არსებული ფაქტის კომპილაციით შექმნილი ცრუფაქტი და მერე ბრალდებად მისი მოხერხებულად გამოყენება, უფრო სწორად, კომპრომეტაციისთვის. სიცრუე თავისი ბუნებით ისეთი რამ არის, რომ ჭეშმარიტებასთან მისი შერევაც კი თავად ჭეშმარიტებას აქცევს სიცრუედ. ნახევრადსიმართლე — ეს არის ყველაზე მაცდური და შხამიანი ჰიბრიდი, ვინაიდან ძალიან ადვილია მისით საქმეში კარგად ჩაუხედავი ადამიანის ცნობიერების და აზროვნების მოწამვლა. ამ მეთოდს უხსოვარ დროში აქვს გადგმული ფესვი. მას ძველი დროიდანვე იყენებდნენ სპეცსამსახურები და მათ შორის საკმაოდ წარმატებით საბჭოთა სუკ-იც, ამ ხალხმა კი ვისგან გადმოიღო და აითვისა იგი, ვერ გეტყვით. ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რომ პატრიარქისადმი მიმართულ კითხვებში ფიგურირებს ყოფილი მღვდელმთავრის, გაიოზ კერატიშვილის დაპატიმრების და ამ ფაქტის უშუალოდ პატრიარქის კომპრომეტაციისთვის გამოყენების თემა. საქმე ის არის, რომ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ გაიოზ კერატიშვილმა ერთ-ერთ გაზეთს ვრცელი ინტერვიუ მისცა და იქ ცხადად წარმოჩნდა, რომ სულაც არ არის საქმე ისე, როგორც ეს კითხვების შემოქმედთ სურდათ, წარმოეჩინათ. საქმეში ჩაუხედავ, მაგრამ გონიერ ადამიანს ამის შედეგ ნამდვილად შეექმნება იმის განწყობა, რომ თუ ერთგან ასეთ სიცრუეს სთავაზობენ, მათი ბრალდებების სისწორეს აღარც დანარჩენში ენდოს.

**— ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ეკლესიასთან ბრძოლაზე, მიმართვის ავტორები კი ამბობენ, რომ ეს არის ბრძოლა ეკლესიისთვის და არა მის წინააღმდეგ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე და რა შედეგის მომტანი იქნება მთელი ეს პროცესი საზოგადოებისთვის?**

— მოდით, თქვენი კითხვის იმ ნაწილიდან დავიწყოთ, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე ზოგადად და კონკრეტულად ჩვენთან. ეს არის უვრცელესი და უმნიშვნელოვანესი თემა და ცხადია, ყველაფრის აქ განვრცობა შეუძლებელია. ძალიან მოკლედ კი ის შეიძლება, ვთქვა, რომ გრძელდება უხსოვარი დროიდან დაწყებული პროცესი, რასაც ბოროტის ღმერთისა და მისი უდიადესი ქმნილების — ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია. თანამედროვე სამყაროში ამ ბრძოლის მეთოდებმა განსაკუთრებული დახვეწილობა შეიძინა. თანამედროვე სამყაროს „დროის სულს“ ერთ-ერთი მართლმადიდებელი მამა ასე ახასიათებს: „ჩვენს პლანეტაზე მრავალი ღვთაება გაუღმერთებიათ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერაც არ არსებულა ისეთი ულმობელი და ჭეშმარიტებას დაცილებული, უზნეო და დაცემული ღვთაება, როგორიცაა „დროის სული.“ თანამედროვე სამყარომ მასში თავისი ყველა სნეულება, ყველა ვნება და ცოდვა, ყოველგვარი დანაშაულობანი განათავსა და ამ კერპის ყველაზე წარმართი კერპთმსახური გახდა“. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ არსებობს ამ უკუღმართობის მამხილებელი ძალაც — განკაცებული ღმერთი. ამიტომ ქრისტე და მისი ეკლესიაა ის ბარიერი, რომელიც „დროის სულის“ მიმდევრებს ამხელს და ხელს უშლის, — ამიტომაცაა მის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა გაჩაღებული. იგივე ხდება ჩვენთანაც. როგორც აღვნიშნეთ, ამ მასშტაბებთან შედარებით, ეს კონკრეტული კამპანია ძალიან უსუსურად გამოიყურება, მაგრამ გამოფხიზლება მაინც გვმართებს. თანამედროვე ქართველებმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რა ხდება ირგვლივ და, რაც მთავარია, თავად ჩვენს შიგნით: რაღაც არანორმალურ მდგომარეობაში ვართ — ამგვარი უზნეო, უხამსი, არაბუნებრივი მოვლენები ქართველ კაცს ასე მისაღებად და ნორმად არასდროს მიუჩნევია. არსებობს ხალხი, ვინც ამ ყველაფრის დამკვიდრებას შეგნებულად უწყობს ხელს: ზოგი — მატერიალური გამორჩენისთვის, ზოგი — სნობიზმით, რომ გარკვეულ ადამიანთა წრის მარაქაში გარეულად ჩაითვალოს, მისი აზრით, პროგრესული იდეების მქონენი რომ არიან და ა.შ. სხვათა შორის, თუთბერიძის უხამსობებით პოპულარობამოპოვებულ საიტზე ერთ ჯგუფს წავაწყდი სახელწოდებით „ძირს ეროვნულობა, მე ვარ მსოფლიოს მოქალაქე!“, — აი, თანამედროვეობის პროგრესულობის ერთ-ერთი გამოვლინება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფრის მიღმა არსებობენ ფართო საზოგადოებისთვის დაფარული ძალები. ისინი ქმნიან სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთ ტაქტიკურ სვლასაც ამ ტიპის პროცესების წარმართვა წარმოადგენს. ამისთვის მათ, ცხადია, ადგილობრივი კადრები სჭირდებათ და მათ მობილიზებას, როგორც სჩანს, ახერხებენ კიდეც.

იმის სალად გააზრება, რაც ამ მხრივ ჩვენთან ხდება, უნდა დაგვეხმაროს გამოფხიზლებაში და სწორი ორიენტირების შერჩევაში.

**— იმ თემების უმრავლესობა, რომლებზეც მიმართვაშია საუბარი, თავისთავად ძველია. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა მათი წამოწევა მაინცდამაინც დღეს და რა მიზანს ემსახურება დაწყებული კამპანია?**

— ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, სჯობს, ჯერ იმ ძირითად მიმართულებებს შევეხოთ, რომლითაც ბოლო დროს ჩვენი ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობებმა იჩინა თავი. თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, რამდენიმე ძირითადი ხაზის გამოყოფა შეიძლება: ჯერ იყო და, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენი ეკლესიის მღვდელმსახურის ანდრეი ბოროდას თაოსნობით ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მცდელობის ფაქტთან გვქონდა საქმე, რაც უშედეგოდ დასრულდა და იმ სასულიერო პირთაგან, რომლებიც იმ კამპანიას აყვნენ, ზოგმა საშინლად დაასრულა სიცოცხლე, ზოგიც გონს მოეგო და მიხვდა, თუ რა მკრეხელურ საქმეში აღმოჩნდა ჩათრეული. თავად ბოროდა — ამ საქმის მოთავე ამერიკის ერთ-ერთ სქიზმატურ ეკლესიასაა შეფარებული. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მართლმადიდებელი ეკლესიის მოწინააღმდეგე ძალები თავიანთ აგენტებს ნერგავენ ეკლესიაში, რათა შიგნიდან მოხდეს მისი დასუსტება და გახლეჩა თუ ვერა, კომპრომეტაცია მაინც. ჩანერგვის და გადაბირების მეთოდებს სპეცსამსახურებიც მიმართავენ, თუმცა იმ ფარული ძალებისგან განსხვავებით, მათი მიზანი უფრო გაკონტროლება და გავლენის ქვეშ მოქცევაა. უნდა ითქვას ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ამ ორი ძალის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა კიდეც, გააჩნია, ხელისუფლება თავის სპეცსამსახურებს რა ამოცანას დაუსახავს. ამ ორი ძალიდან, ცხადია, უფრო საშიში პირველია. ქრისტეს ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მცდელობა (ან მისი სისრულეში მოყვანაძ უსაშინლეს დანაშაულად მიიჩნევა და უმკაცრეს სასჯელსაც ექვემდებარება. აი, ამგვარი განხეთქილების მცდელობას თაოსნობდა ანდრეი ბოროდა ამ რამდენიმე წლის წინათ. დღეს ბოროდა პატრიარქის მიმართ კითხვების კონტექსტში, ასეთ შეფასებას აკეთებს: „საბჭოთა ხელისუფლებასთან სამოცდაათწლიანი კომპრომისი ეკლესიას უკარგავს უფლებას, ქრისტეს სიტყვა იქადაგოსო“. თუმცა მაშინ მას პატრიარქისადმი დაუმორჩილებლობის და გარკვეულ ჯგუფთან ერთად განდგომის მიზეზად აბსოლუტურად სხვა რამ მოჰყავდა. განხეთქილების მცდელობაზე ვთქვით და დავამატებ მხოლოდ, რომ ეს უფრო ცალკე არსებული მოვლენა და უფრო მაღალი რანგის ოპერაცია იყო, თუმცა თუ საკითხს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ძირეული სტრატეგიის პლანში განვიხილავთ, ისიც, რა თქმა უნდა, ამ ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა. უფრო მოგვიანებით ერთმანეთთან იდეურად ახლო მდგომი რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა. საგულისხმოა ისიც, რომ მასში ერთი და იგივე ადამიანები ფიგურირებენ.



**— რა მიმართულებებს გულისხმობთ კონკრეტულად?**

— მე ძირითადად ორგანიზებული კამპანიის შინაარსის მქონე ორ მიმართულებაზე მოგახსენებთ. ესენია ჩვენი ეკლესიის წარმოჩენა რაღაც ფუნდამენტალისტურ (ამ ტერმინის ცუდი გაგებითძ, თანამედროვეობასთან შეუთავსებელ, მოძველებულ დოგმატებზე მდგარ ორგანიზაციად, რომელიც თურმე, დასავლური ღირებულებების შესაბამის რეფორმებს საჭიროებს და ამის პარალელურად, პროტესტანტული ეკლესიის, როგორც სამაგალითო მოდელის პროპაგანდის წარმოება. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და მისი გამოცემა „სოლიდარობაც“ ზუსტად ამას ემსახურებოდა. რა ფინანსებით გამოიცემოდა ეს ხარისხიან ქაღალდზე ნაბეჭდი ჟურნალი, რომელიც, სხვათა შორის, უფასოდ რიგდებოდა, ჩემთვის უცნობია. პროტესტანტული ეკლესიის პროპაგანდირება ვახსენე და ერთი უცნაური დეტალი გამახსენდა... თუ გახსოვთ, როცა „ნაცმოძრაობა“ აჭარაში შევიდა, ასლან აბაშიძის განდევნის შემდეგ ტელევიზიები სულ ატრიალებდნენ ერთ კლიპს — სააკაშვილის მარში ბათუმის ქუჩაში და მერე პირზე ზღვის წყლის შესხმა. ამ კლიპში იყო ერთი კადრი, რომელიც შემდეგ საერთოდ გააქრეს: ბათუმში ტრიუმფატორი სააკაშვილი თანამებრძოლებთან ერთად მოდის და გვერდით, ასევე ტრიუმფატორის იერით, საქართველოში პროტესტანტული ეკლესიის ეპისკოპოსი, ბატონი სონღულაშვილი მოჰყვება... რა შუაში იყო იგი, დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის. მოკლედ, დავუბრუნდეთ ჩვენს თემას და აღვნიშნავ, რომ წელან ნახსენებმა მიმართულებამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნახსენებ ტოლერანტობის ცენტრში და ბოილის ფონდში გაშინაურებულ ადამიანთა მცირე წრეს, მის შემოქმედთათვის სასურველი რეზონანსი აშკარად ვერ გამოიწვია. ახლა, როგორც ჩანს, ახალი შემოქმედებითი ალმაფრენა ეწვიათ და წინა პლანზე შინაარსით „ეკლესიის საბჭოთა წარსული“ ახალი თემა წამოსწიეს. სწორედ ამის გამოა ის ძველი თემები, რომელიც თქვენ ახსენეთ, კითხვარში თავმოყრილი. აი, ამ მიზანს ემსახურება, ჩემი აზრით, ეს კამპანია და გავიმეორებ, რომ იგი ერთი მთლიანი ჯაჭვის ერთ-ერთ მცირე რგოლს წარმოადგენს.

**— პრეზიდენტი ახსენეთ. ამასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის პირადად მიხეილ სააკაშვილი და ზოგადად ხელისუფლება ჩართული ამ პროცესებში? ოპოზიცია ხშირად აცხადებს, რომ ისინი ილია მეორეს მისი ავტორიტეტის გამო ებრძვიან. გარდა ამისა, პატრიარქის დაბადების დღის შემდეგ, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მისთვის ოფიციალურად არ მოულოცავს, განსაკუთრებით აქტუალური გახდა საუბარი მასსა და პატრიარქს შორის დაპირისპირებაზე...**

— ერთის მხრივ, პატრიარქის ავტორიტეტის დაცემა და შებღალვა რომ უნდათ, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდ — ეკლესიის ავტორიტეტთან არის მიბმული, ცხადია, მაგრამ რაც შეეხება ოპოზიციის ბრალდებას და თავად ოპოზიციას, მე პირადად მათ იდეურად და სულისკვეთებით ეროვნულ ბრძოლასთან დაკავშირებულად ვერ განვიხილავ. მათი მოქმედებების საფუძველში არ იდო გააზრებული და სტრატეგიულად დალაგებული გეგმა, რომელიც ეროვნული და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე არსებული საფრთხეების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, რაც ასე გვჭირდება დღეს. ის პრობლემები, რაც ჩვენს წინაშე დგას, უფრო დიდი და ღრმაა, ვიდრე ამას საპოლიტიკო სარბიელი დაიტევდეს და, ჩემი აზრით, იმიტომაც დაასრულა ჩვენმა ოპოზიციამ ისე, როგორც დაასრულა. ამდენად, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, უყენებს თუ არა ოპოზიცია ამ სახის ბრალდებებს სააკაშვილს, გნებავთ, უგულავას და გნებავთ, სხვა ვინმეს. რაც შეეხება მმართველი გუნდის ამ პროცესებში ჩართულობას, ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ვიტყოდი, რომ ისინი და ამ მავნე პროცესების წარმმართველები ერთი იდეოლოგიური ფესვიდან არიან ნაკვებნი, ძირითადად „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ რომ იღებს სათავეს.

**— საუბარია იმაზეც, რომ განხეთქილება თვითონ სასულიერო პირებს შორისაც არის. საპატრიარქო ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, მიიჩნევს, რომ ეკლესიაში არსებული პრობლემები მხოლოდ წმინდა სინოდის საქმეა და გარედან ჩარევა დაუშვებელია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ არ არის საზოგადოება მზად ეკლესიიაში მიმდინარე პროცესების ობიქტური ანალიზისთვის, თუ ეს პროცესი დაგვიანებულიც კია?**

— ვფიქრობ, ეს კითხვა არასწორ ფორმულირებებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ნათქვამი „განხეთქილებები სასულიერო პირებს შორის.“ განხეთქილების საკითხზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ, ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, „განხეთქილებაზე“ შეიძლება, ვისაუბროთ, როცა სასულიერო პირთა ჯგუფი საყოველთაო, ანუ კათოლიკე ეკლესიას გამოეყოფა და სქიზმაში გადის, თან გაიყოლებს მორწმუნე მრევლის ნაწილს და დედა-ეკლესიასთან ევქარისტულ კავშირს წყვეტს. მსგავსი რამ ჩვენთან არც კი შეინიშნება. თუ აქ ლაპარაკია რაიმე პირად შეუთავსებლობაზე, პირად სიმპათია-ანტიპათიაზე იერარქებსა თუ სხვა სასულიერო პირებს შორის, ჯერ ერთი, ამის დადასტურებული ფაქტები არ გვაქვს და მეორეც — ასეც რომ იყოს, ეს აბსოლუტურად სხვა ტიპის პრობლემაა და არანაირი კავშირი ეკლესიის სიწმინდესთან და ერთიანობასთან არ აქვს. ასევე არასწორია ფორმულირება „პრობლემები ეკლესიაში“, ვინაიდან ეკლესიის პრობლემას შეიძლება, მოციქულთა ტრადიციებიდან გადახვევა, სწავლების დამახინჯება, მწვალებლობაში ჩავარდნა და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სქიზმა წარმოადგენდეს. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას რომ ეს პრობლემები არ აქვს, ცხადია და ამდენად საკითხის ასე დასმაც მიზანშეუწონელია.

**— იგივე განკვეთილი მღვდლები თუ თეოლოგები, რომლებიც ამ მიმართვას უერთდებიან, საუბრობენ იმაზე, რომ სწორედ ეკლესიის შიგნით კანონიკურ საკითხებთან დაკავშირებითაც არის პრობლემები. მაგალითად მოჰყავთ მკვდრადშობილ ჩვილთა ჯოჯოხეთში მოხვედრის სწავლება და სხვა. თუმცა მათივე თქმით, ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხების წინა პლანზე წამოწევა და აქცენტირება არ ხდება...**

— უპირველეს ყოვლისა, ვერ დავეთანხმები განკვეთილ მღვდელთა და განსაკუთრებით „თეოლოგთა“ ასე მრავლობით ფორმაში წარმოდგენას. ხსენებულ მიმართვას ერთი მღვდლადყოფილი — ბასილ კობახიძე, ორი მღვდელი — კახაბერ კურტანიძე და ზაზა თევზაძე აწერენ ხელს. თეოლოგებისა კი რა მოგახსენოთ. საერთოდ, ვინ არის თეოლოგი და როგორ ხდებიან თეოლოგები, ანუ ღვთისმეტყველები — სხვა თემაა და ახლა ამაზე ვერ ვილაპარაკებთ. რაც შეეხება თავად თემას, თქვენ ალბათ, მხედველობაში გაქვთ უნათლავად გარდაცვლილ ჩვილთა საკითხი, რომელიც უფრო შემოგდებულ თემას ჰგავს და მას აზრთა გარკვეული დაპირისპირება მართლაც მოჰყვა. ერთი სიტყვით, ეს იყო ერთ პერიოდში ატეხილი აჟიოტაჟი, რომლის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. ეს ცალკე თემაა და ახლა ამის განხილვას რომ მივყვეთ, სხვაგან წავალთ. ერთი კი შემიძლია, ვთქვა: ეს საკითხი, ნამდვილად არ არის ჩვენი ეკლესიის პრობლემა და თუ ვინმეს სურს ამ თემით სპეკულირება და იმის წარმოჩენა, თითქოს კანონიკურ სამართლებრივ და თეოლოგიურ საკითხებზე ჩვენთან დაპირისპირებაა, ეს უკვე სხვა საკითხია და ამ ინტერვიუში საუბარი სწორედ მსგავს მიზანსწრაფვაზე, მის შედეგებსა და არსზე გვქონდა.

**ნინო ჩიჩუა**

## თვალსაზრისი



***ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთის ომის შესახებ ისეთი დეტალები მჟღავნდება, რომ შესაძლოა ჰაიდი ტალიავინს თავისი დასკვნის ზოგიერთი ეპიზოდის გამო შერცხვეს.***

***მაგალითად, ამერიკულმა წყაროებმა გაავრცელეს აშშ-ს მხარეზე გადასული რუსი მზვერავის სერგეი ტრეტიაკოვის ჩვენებები, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ რუსული სპეცსამსახურები დიდი ხნის მანძილზე ამუშავებდნენ საქართველოსთან ომის დაწყებისა და ქართული არმიის ცხინვალში შეტყუების გეგმას. ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით „ექსპერტთა კლუბის" პრეზიდენტი და აფხაზეთის უშიშროების ექს-მინისტრი, გენერალი ლევან კიკნაძე „მედიანიუსთან" საუბარში შემდეგ განმარტებებს აკეთებს:***

— კლასიკური თეორიით თუ ვიმსჯელებთ, ეს ინფორმაცია რეალურია. რეალურია იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მოქმედებენ სპეცსამსახურები, რომლებიც აგრესიისთვის ემზადებიან. ასე რომ, აგვისტოს ომის წინ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი იყო აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის გააქტიურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ერთ-ერთ სპეცღონისძიებაზე, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. საქმე ეხება რუსეთის მიერ ომისშემდგომ გავრცელებულ, ცხინვალში და მის შემოგარენში ქართული საჯარისო ნაწილების ვითომდაც არაადამიანური ქმედებების ამსახველ კადრებს. სინამდვილეში, სეპარატისტული რეჟიმის და რუსეთის სპეცსამსახურები ოჩამჩირის რაიონში იღებდნენ დადგმულ სცენებს იმის დასადასტურებლად, თურმე როგორ ხოცავდნენ ქართველები ცხინვალში მშვიდობიან მოსახლეობას. აფეთქებდნენ საცხოვრებელ სახლებს, მანქანებს. აფხაზ ჯარისკაცებს ჩააცვეს ამერიკული სამხედრო ფორმები, საბრძოლო ჯავშანტექნიკაზე დაამაგრეს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშები, ძველ შენობებს წაუკიდეს ცეცხლი და ა.შ. ჩემი ახლობელი ერთ-ერთი ამდაგვარი სიუჟეტის გადაღების თვითმხილველი გახდა. მოდიოდნენ სოხუმიდან სამარშრუტო მიკროავტობუსით, ოჩამჩირის შესასვლელთან მძღოლმა დაინახა ამერიკულ ფორმებში ჩაცმული ჯარისკაცები და ჯავშანტრანსპორტიორები ქართული ხუთჯვრიანი დროშებით, ირგვლივ იწვოდა სახლები, ავტომანქანები, იყვნენ გასისხლიანებულები, დახოცილებიც. შიშით შეძრწუნებულმა მძღოლმა იყვირა — არიქა, სააკაშვილი შემოვიდაო და მოატრიალა მიკროავტობუსი.

**— რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურების შესახებ ალბათ, ჩვენმა სპეცსამსახურებმაც იცოდნენ. არ მიგაჩნიათ შეცდომად, რომ ზემოხსენებული ფაქტის თაობაზე ქართულმა მხარემ თავის დროზე საჯარო განცხადებები არ გააკეთა?**

— რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურება რომ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენ სპეცსამსახურებს, ამაზე ის ფაქტებიც მეტყველებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რეგულარულად აკეთებდნენ განცხადებებს იმ პროვოკაციების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდისთვის. რაც შეეხება სპეცსამსახურებს, საერთოდ არ არის მიღებული მათი მხრიდან საჯარო განცხადებების კეთება და ასეც ჩათვალეს საჭიროდ.




# ქართული ჯარის ვითომდა არაადამიანური მოქმედებების კადრები რუსებმა ოჩამჩირეში გადაიღეს

**— მაინც როგორ მოქმედებდნენ საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურები?**

— საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რუსეთმა ჩვენდამი მიდგომა შეცვალა და მთელი ძალით აამოქმედა საქართველოში დისლოცირებული, როგორც სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში, ასევე საელჩოში საფარქვეშ მოქმედი სპეცსამსახურები. ამას თუ დავუმატებთ თავის დროზე ამავე სამსახურების მიერ გადაბირებულ აგენტურას, ადვილი მისახვედრია, რამდენად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სამხედრო ბაზების გასვლამდე და შემდეგაც რუსეთის სპეცსამსახურები სხვადასხვა საშუალებით და მეთოდით ეწეოდნენ საქართველოში აგენტურულ-ოპერატიულ საქმიანობას. რამდენად მოახერხეს ეს, უკვე სხვა საქმეა.

**— რამდენად რთულია საბჭოთა დროინდელი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის გამოვლენა, რას მოგვცემდა ლუსტრაციის კანონის დროული მიღება?**

— თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის გამოვლენაში ლუსტრაციის კანონი ვერაფერს მოგვცემს, თუნდაც იგი მიღებული ყოფილიყო უფრო ადრე. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებული სპეცსამსახურები საქართველოში მოქმედებდნენ საქართველოს სუკისგან დამოუკიდებლად, ჰქონდათ თავიანთი აღრიცხვის სისტემა, ემორჩილებოდნენ მხოლოდ მოსკოვს და ასრულებდნენ იქიდან მიღებულ დირექტივებს. ამდენად, საქართველოს სუკს მათ აგენტურაზე მონაცემები არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, რუსეთის სპეცსამსახურების როგორც ძველი, ასევე ახალი აგენტურის გამოვლენა და დოკუმენტირება უნდა მოხდეს ქართული სპეცსამსახურების მიერ, როგორც 2006 წელს მოხდა.

**— ალბათ, „თბილისის ომიც" მათი აგენტურის აქტიურობის შედეგია.**

— რა თქმა უნდა. „თბილისის ომი", აფხაზეთში საჯარისო ფორმირებების შეყვანაც გარკვეულწილად მათ მიერ გატარებული „ღონისძიებების" შედეგიც არის. კიტოვანისთვის ახალქალაქის ბაზიდან სამხედრო ტექნიკის გადაცემა საეჭვოდ ემთხვევა აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას და ა.შ.

**— თქვენი აზრით, დღეს რა მიმართულებით გააქტიურდება ზემოხსენებული ძველი აგენტურა?**

— მოდით, ეს აგენტურა მაინცდამაინც ნუ შეგვაშინებს. არა მგონია, ისინი ქმედუნარიანნი იყვნენ. ზოგი დაბერდა, ზოგი გარდაიცვალა. ზოგიც გამოვლენილია და ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს კონტრდაზვერვა დიდი ხანია ანგარიშგასაწევი ძალაა, ეს კარგად იცის რუსეთმა, თავის თავზე იწვნია მისი სიძლიერე.

**— თქვენი ანალიზით, რამდენად რეალურია იმის საფრთხე, რომ რუსული აგენტურული ქსელი ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც მოქმედებდეს?**

— შესაძლებელია. ჰყავთ თუ არა აგენტები პოლიტიკურ სპექტრში, ეს უკვე სხვა საქმეა. შესაძლებელია, ჰყავდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის შესაძლებლობა რუსებს ჰქონდათ.

**— ბატონო ლევან, თუ არ ვცდები, თქვენ ფლობთ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, რუსები აფხაზეთში რადიაქტიური ნარჩენების შეტანას აპირებენ.**

— სოხუმიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ხელისუფლება დაგეგმილი აქვს და პრაქტიკულად, ბაღაფშთან შეთანხმებულია რუსეთიდან აფხაზეთში რადიაქტიური ნარჩენების საიდუმლოდ შემოტანა და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის რადიაქტიური ნარჩენების სამარხებში შენახვა. ჯერ კიდევ არძინბას ხელისუფლების დროს იყო მცდელობა რუსეთიდან რადიაქტიური ნარჩენების შემოტანისა და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის რადიაქტიური ნარჩენებისთვის განკუთვნილ სამარხებში განთავსებისა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც მხარი საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დაუჭირეს, რუსეთმა განზრახვაზე ხელი აიღო. რუსეთი დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებლობის პირობებში რადიაქტიური ნარჩენების აფხაზეთში შეტანა პრობლემური აღარ იქნება, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის ხსენებული გეგმა მკაცრად გასაიდუმლოებულია და ვერავინ, მათ შორის საქართველოც ვერ წარმოადგენს მტკიცებულებას აფხაზეთში რადიაქტიური ნარჩენების შეტანის ფაქტზე.

**— თქვენ წყაროს ენდობით?**

— ამ გეგმის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა იმავე წყაროს მიერ, რომელსაც ხელი მიუწვდება საიდუმლო ინფორმაციებზე და რომელსაც ვენდობი. მან 2009 წლის ოქტომბერში ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილ წერილში შეგვატყობინა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის სამარხიდან ომის შემდეგ დატაცებული რადიაქტიური ნივთიერების — „ურანი-235"-ს აფხაზეთიდან გატანის მცდელობის აღკვეთის და რუსეთის ფსბ-ს მიერ აღნიშნული ფაქტის გასაიდუმლოების შესახებ. წერილს თან ერთვოდა ე.წ. „პოროსიონოკის" ფოტოსურათი — კონტეინერის, რომელშიც ჩვეულებრივ ინახება რადიაქტიური ნივთიერება, ამ შემთხვევაში — ურანი. „პოროსიონოკი" გამზადებული იყო გასატანად, მაგრამ ვერ მოასწრეს, რადგანაც, როგორც წყარო იტყობინება, უშიშროებამ ამოიღო ფოტოზე ნაჩვენები კონტეინერი ქართველის მიერ იძულებით დატოვებული სახლის სარდაფიდან. წყაროს განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „პოროსიონოკი" უკვალოდ გააქრეს, ხოლო ფაქტზე არა მარტო სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, არამედ ფსბ-ს ჩარევით უშიშროებაში შესული პირველადი ინფორმაციაც გაანადგურეს. ჩვენი წყარო დარწმუნებულია, რომ ზემოთ ხსენებულ „პოროსიონოკში" მოთავსებულია 90-იან წლებში, აფხაზეთში ომიდან რამდენიმე წელიწადში დაკარგული გამდიდრებული „ურანი-235" და ამიტომაც გააქრეს უკვალოდ. სოხუმელი წყარო გვთხოვდა ხსენებული ფაქტის შესახებ ინფორმაცია, სათანადო რეაგირების მიზნით, მიგვეწვდინა რადიაქტიური ნივთიერებების პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და ასევე გაგვევრცელებინა მედიის საშუალებით, რადგანაც დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში კიდევ ბევრია შემორჩენილი თავის დროზე სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტიდან დატაცებული რადიაქტიური ნივთიერება, რომელთა გატანა და გაყიდვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ხსენებული ფაქტი ფართო მსჯელობის საგანი ვერ გახდა. განსაკუთრებულად საშიშია ჩანაფიქრი, გადააქციონ აფხაზეთი რადიაციული ნარჩენების სამარხად, რომლის განხორციელება გარდა ეკოლოგიური კატასტროფისა, რომელიც შეიძლება დაემუქროს აფხაზეთს, არანაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე თუ რადიაქტიური ნარჩენები ტერორისტების ხელში მოხვდება. რადიაქტიური ნარჩენების აფხაზეთიდან გატანის და გაყიდვის საქმე კარგად აქვთ აწყობილი სეპარატისტებს.



## სიახლე

# მოსწავლეები სამხედრო დისციპლინის ძირითად პრინციპებს შეისწავლიან...

**განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი დიმიტრი შაშკინი განათლების რეფორმას დიდ ყურადღებას უთმობს და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის უფრო გაიოლებულ გზებს მიმართავს. გაჩნდა იდეა, რომ 2010 წლიდან მოსწავლეებს ჩაუტარდებათ სამხედრო სწავლების გაკვეთილები, ამისთვის კი თავდაცვის მინისტრი მზადაა, სკოლებში სამხედრო სწავლება უზრუნველყოს. სწავლება ემსახურება იმას, რომ ახალგაზრდებს მომავალში სრული წარმოდგენა ჰქონდეთ, რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის შეიარაღებული ძალები.**

„ჩვენ მოსწავლეებისთვის სამხედრო მეცადინეობის ჩატარების სრული რესურსი გვაქვს. თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს სწავლების გეგმას და მზად არის მის შესასრულებლად", — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. სამხედრო გაკვეთილები კი საშუალო სკოლის მხოლოდ მაღალ კლასებს ჩაუტარდებათ და მეცადინეობას შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცრები ჩაუტარებენ.

სკოლებში სამხედრო სწავლების შემოღებას პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძეც გამოეხმაურა და მან პრეზიდენტის პოზიციაც დააზუსტა. სამხედრო სწავლება სასწავლებლებში განათლების რეფორმის ფარგლებში დაინერგება. ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, პედაგოგებთან შეხვედრაზე კომენტარი გააკეთა. პრეზიდენტმა მოსწავლეთა მაღალი დასწრების უზრუნველყოფაზე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამოღებაზე და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზეც ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა 2010-2011 წლების პრიორიტეტად საგამოცდო სისტემაში ცვლილებები და პედაგოგთა სერტიფიცირების დაწყება დაასახელა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი კი ამ სწავლებით ფიქრობს, რომ ახალგაზრდებში გააღვიძებენ და გააღვივებენ პატრიოტიზმს.

**დიმიტრი შაშკინი:** „სკოლებში პატრიოტები უნდა გავზარდოთ, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პრეზიდენტმა დავალება მოგვცა, და უკვე ჩვენი ექსპერტები, თავდაცვის სამინისტროს ექსპერტებთან ერთად, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს სასწავლო გეგმა, რომელიც 2010 წლის სასწავლო წლიდან დაიწყება", — დასძინა შაშკინმა.

**ხატია მუსერიძე**

რაც გვჭირს



# ფუძიამას დაწყევლილი მთა

## რას ეტყვის დიდი ღვთაება „ატკატის" დიდოსტატებს?

**დედამიწის ზურგზე არ მეგულება ქვეყანა, გნებავთ ცალკე ადგილი, სადაც დევნილები, შექმნილი საფრთხის გამო საკუთარი კერიის მიმტოვებელი, ანდა, სულაც, სხვაგან ფულის საშოვნელად თუ ბედ-იღბლის საძიებლად წასული ხალხი თავს კარგად, აღარ ვამბობ კომფორტულად, გრძნობდეს . ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ბოლო დროს პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე მომხდარი ამბავი, რომელიც, სხვებთან ერთად, არაერთ ჩვენ თანამემამულეს გადახდა თავს, რომლებიც ერთი სახელმწიფოდან მეორეში უსაბუთოდ და, სულაც, უბილეთოდ ცდილობდნენ გადასვლას.**

რატომ გარისკეს ამ ადამიანებმა ამ ნაბიჯის გადადგმა? რატომ და იმიტომ, რომ იქაც, სადაც უკეთესი ცხოვრების იმედით წავიდნენ, გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდნენ და უკან დაბრუნებას ისევ წინ წასვლა ამჯობინეს.

ეს ამბავი რომ შევიტყვე, ცნობილი რუსი მწერლის იულიუს მედვედევის ერთი ნაწარმოები „ეპილოგის თავიდან ასაცილებლად" გამახსენდა, რომლის მცირედი ამონარიდი მინდა შემოგთავაზოთ.

**„კრებულ „ფუდოკიში" მოთხრობილია, რომ დიდმა ღვთაებამ საშინელი წყევლით დაწყევლა მთა ფუძის სული. ფუძის ბრალი ის იყო, რომ მთამ ნათესავი არ მიიღო და, ვგონებ, მას არცთუ თავაზიანად მოეპყრო. მას შემდეგ ფუძი მუდამ თოვლითაა დაფარული და მის მწვერვალს ვერავინ მიაღწევს".**

თავი დავანებოთ იმის გარკვევას, თუ რატომ გადაწყვიტეს ჩვენმა თანამემამულეებმა ჯერ პოლონეთში წასვლა და შემდეგ, უკანონოდ, გერმანიაში გადასვლა. ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დავხვდით აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოხიზნულ თანამემამულეებს საკუთარსავე სამშობლოში. მათთვის, ვისაც ნათესავ-მეგობრებთან თუნდაც დროებით თავის შეფარების არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა, მთავრობამ სახლები, უფრო სწორად მთელი „გადასახლებები" ააშენა. „გადასახლებებიო" ვამბობ იმიტომ, რომ ამ შრომა-გასწორების ბანაკის მსგავსი დაგეგმარების მქონე პუნქტებისთვის სხვა, საგაზეთო წერილისთვის უფრო მისადაგებული სახელის შერჩევა მიჭირს. არქიტექტურულ უგვანობასა და მეურნეობის წარმოებისთვის სრულიად გამოუსადეგარ პირობებზე რომ არაფერი ვთქვა, ამ პუნქტებში აშენებულ სახლებს კიდევ მესამე, ვგონებ ყველაზე დიდი უბედურება — უხარისხობა სჭირთ.

როცა სახელმწიფო მოიჯარე სამშენებლო ფირმის მეშვეობით თავის გაუბედურებულ მოქალაქეთათვის საცხოვრისებს მასობრივად აშენებს, თუნდაც არა დიდად დასახარბებელს, ვალდებულია, რომ ისედაც უკიდურეს დისკომფორტში მყოფ ხალხს ბინა ხარისხიანი მაინც მისცეს. საგულისხმო გარემოება აქ ისიც არის, რომ, როგორც ყველამ კარგად ვიცით, საქართველოს დევნილთათვის კოტეჯების ასაშენებლად კომპაქტური დასახლებებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად საჭირო სახსრები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბრიუსელის დონორი ქვეყნების კონფედერაციამ გამოყო. მას შემდეგ, რაც ფული შესაბამის ანგარიშზე ჩაირიცხა, ბუნებრივია, სათანადო უწყებებმა მშენებლობაზე ტენდერები გამოაცხადეს და, კონკურსის შედეგების მიხედვით, შესაბამისად, გამარჯვებულებიც გამოავლინეს. რამდენადაც მესმის (და არა მგონია ვცდებოდე) ნებისმიერ ტენდერში გამარჯვება, პირველ ყოვლისა, **ასაშენებელი ობიექტის თუ ობიექტების სრულ ხარჯთაღრიცხვის მისაღებობას ნიშნავს.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პეტრე ივანეზე იაფად, სწრაფად და ხარისხიანად ააშენებს ამა თუ იმ ობიექტს. მაშასადამე, ეს გარემოება მშენებლობის დაწყებამდე აპრიორია ცნობილი. მიუხედავად ამისა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, ვინც ბრიუსელის დონორთა ქვეყნების კონფედერაციის მიერ საქართველოსთვის კრედიტებისა და გრანტების ხარჯვის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობის მონიტორინგს ატარებს, ამ მხრივ საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები არსებობს.

პრეტენზიების საფუძველი კი ის არის, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ტენდერების პირობები უხეშად ირღვევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ **ობიექტების მშენებლობაზე გამოყოფილი და ხელშეკრულებით დამტკიცებული თანხები 50-70 პროცენტით (!) იზრდება, თანაც ისე, რომ... მცირდება შესრულებულ სამუშაოთა მთლიანი მოცულობა (!!) და ეს ერთეული შემთხვევა კი არ არის, არამედ, ფაქტობრივად, საყოველთაო მოვლენაა!**

თუ რას ნიშნავს ეს, ადვილი მისახვედრია: ხელშეკრულება მშენებელსა და დამკვეთს (ამ შემთხვევაში სახელმწიფოსძ შორის იდება ერთ თანხაზე, რომელიც ცოტა ხანში, თითქმის ავტომატურად ორმაგდება.

ჰოდა, ვინ შეიძლება დაარწმუნო იმაში, რომ ყველაფერ ამაში „ატკატების" სისტემა არ მოქმედებს მთელი სიგრძესიგანით?

ამის უამრავი მაგალითი არსებობს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ფრაგმენტი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ გახდა ცნობილი. კერძოდ, **გორის რაიონის სამ სოფელში ჩასახლებული დევნილთათვის პირუტყვის სადგომები უნდა აეშენებინათ, რა მიზნითაც 250 ათასი ლარი გამოიყო, თუმცა მშენებლებმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულეს...**

აბა, ამას რაღა კომენტარი სჭირდება?..

**ბოლოთქმის მაგიერ.** **დავწერე, კომენტარი არ არის საჭირო-მეთქი, მაგრამ ეს, როგორც თავადაც მიხვდით, პატივცემულო მკითხველო, სწორედ რომ, საპირწონოს გულისხმობს, თუმცა ამის სრულ კომენტარს ახლა რომ მივყვეთ... ამიტომ მცირედი დასკვნით დავასრულებ და ისევ იმას მივუბრუნდები, რითაც დავიწყე.**

**ლეგენდით, მთა ფუძიამას სული დიდმა ღვთაებამ დაწყევლა ერთი ნათესავის მიმართ გამოჩენილი გულგრილობისა და უხეშობისთვის. საინტერესოა, რას ეტყვის ის დიდი ღვთაება იმათ, ვინც თავის თანამოძმეებს კიდევ იმაზე უარესად ეპყრობა?**

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## ქველით ახალი წელი უშუქობაში მიულოცეს

**ქველით ახალ წელს კახეთში ასობით ოჯახი უშუქოდ შეხვდა. „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ" დავალიანების მქონე აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა.**

**— ახალი წლის დღეები დამთავრდა და „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. ელექტროენერგია მიეწოდებათ მხოლოდ იმ აბონენტებს, რომელთაც დავალიანება არ აქვთ. დავალიანების მქონე აბონენტებს კი ელექტროენერგიის მიწოდება ინდივიდუალურად შეუწყდათ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ჟანა დიდებაშვილმა.**

**„კახეთის ენერგოდისტრიბუცია" რეგიონის სოფლებში მცხოვრები აბონენტებისგან ელექტროენერგიის გადასახადის ამოღებას საუბნო მრიცხველების ჩვენებებით ახდენს. ათიათასობით აბონენტს ყოველთვიურად მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის გარდა, დამატებით 5, 10 ან მეტი ლარის გადახდა უწევს. ცოტა ხნის წინ, ენერგოკომპანიის ამგვარ მუშაობას, იურიდიული დახმარების ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „ჩინგიზ ხანის პრინციპებით მუშაობაც" კი უწოდა. კომუნალური მრიცხველების არსებობა რამდენჯერმე პრეზიდენტმა სააკაშვილმაც გააკრიტიკა, მაგრამ მდგომარეობა ამ დრომდე უცვლელია.**

## ამუშავებს და გასამრჯელოს არ უხდიან

**ახალსოფლის მაცხოვრებლებმა სოფლის საჯარო სკოლის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა თქმით, კომპანია „დეტეესი"-ს წარმომადგენლებმა ისინი სკოლის შენობის რეაბილიტაციაზე ამუშავეს, თუმცა დამქირავებელს ხელფასები ამ დრომდე არ გადაუხდია. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს.**

**— რამდენიმე თვის ხელფასი გვაქვს მისაღები. ზოგს 500 ლარი, ზოგს 700 ლარი, ზოგსაც 1000 ლარზე მეტი. კომპანიის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ, რომ ხელფასს სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისთანავე გადაგვიხდიდნენ, მაგრამ მოგვატყუეს. რეაბილიტირებული შენობა გაიხსნა თუ არა, კომპანიის ხელმძღვანელები გაუჩინარდნენ და ხელფასს აღარ გვაძლევენ, — განაცხადეს ახალსოფლის მცხოვრებლებმა.**

**მათივე თქმით, დახმარებისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს და რაიონის მაჟორიტარ დეპუტატსაც მიმართეს, თუმცა უშედეგოდ.**

**კომპანია „დეტეესში" სახელფასო დავალიანების არსებობა არ უარყვეს, მაგრამ არ დააკონკრეტეს როდის გასცემენ ხელფასებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

მკითხველი გვწერს

# ხელები დაგელოცოთ, ექიმო!




**ძვირფასო რედაქცია, ავად მყავდა ქალიშვილი — შორენა მჭედლური — ხერხემლის თიაქარის გამო მე-4 და მე-5 მალებიდან 7 მმ ჰქონდა გადახრა. რომელ ექიმთან არ მივიყვანე, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, შორენა ძალიან განიცდიდა ხერხემლის დეფორმაციას. მერე ერთმა ახლობელმა მირჩია, არის ასეთი სპეციალისტი ვაჟა კახიანი, ძალიან აქებენ და მასთან მიიყვანეო. მივედით. დამიჯერებთ? 3 დღეში განკურნა ჩემი ქალიშვილი ამ მართლაც სასწაულმოქმედმა დასტაქარმა.**

მთელი ჩემი ოჯახი დიდი მადლობელია ამ ადამიანის და, დიდი სურვილი მაქვს, მკითხველს მოკლედ მოვუთხრო ბატონ ვაჟა კახიანზე. ვინ იცის, ზოგს შეიძლება გამოადგეს კიდეც.

როდესაც იგი პაციენტს ეხება და იწყებს მის განკურნებას მძიმე, ერთობ დისკომფორტულ სნეულებათაგან — სქოლიოზი, ოსტეოხონდროზი, ჩამოყალიბებული კუზები და მახინჯი დეფორმაციები რომ ჰქვია, და აწვალებენ ავადმყოფს მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალ ვაჟა კახიანის ჯადოსნური მანიპულირების შედეგად, ისინი მალე სასწაულებრივად ქრებიან.

ბატონი ვაჟა პირველია საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, აღნიშნულ დაავადებათა შემთხვევებს რომ 100 პროცენტით კურნავს. სულერთია, თუ რამდენად მძიმეა შემთხვევა. ყოველი პაციენტი მის ხელში აბსოლუტურად ჯანმრთელი ხდება და უბრუნდება სრულფასოვან ფიზიკურ ცხოვრებას.

როგორ, რა გზით მიაღწია ვაჟა კახიანმა თავისი მკურნალობის ეფექტს?

თავდაპირველად ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწე ხანდაზმული სპეციალისტის, ლეგენდარული კონსტანტინე ანსიომოვის ხელმძღვანელობით ხვეწდა ჯადოსნურ მეთოდებს, შემდგომში კი უკვე თავად გაამდიდრა არსებული „არსენალი". შემდგომ ვაჟა კახიანს გზა დაულოცეს სახელგანთქმულმა დასტაქრებმა ოთარ ღუდუშაურმა და კარლო ბორჯაძემ. მათი უშუალო ინიციატივით 1974 წელს გაიხსნა სპეციალური კაბინეტი ს. ხუნდაძის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკურ საავადმყოფოში და თბილისელი ახალგაზრდაც შეუდგა ეფექტურ მოღვაწეობას. მისი მეთოდი გამორიცხავს ყოველგვარ ქირურგიულ ჩარევას და პაციენტზე მხოლოდ გარეგანი, ხელებით მექანიკურ ზემოქმედებაზეა დაფუძნებული. გამორიცხულია ყოველგვარი ბიოდენები და ექსტრასენსობა!

პესიმისტების საყურადღებოდ — რეალური შედეგი ამტკიცებს თავის უტყუარობას!

ვაჟა კახიანმა 1000-ზე მეტი პაციენტი გამოაჯანმრთელა!

ესენი არიან, სხვათა შორის გერმანიის, თურქეთის, ავსტრიის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენიც.

ოსტეოხონდროზის, სქოლიოზის, დამბლების (ე. წ. „პარეზების"ძ, ჩამოყალიბებული კუზებისა და მახინჯი დეფორმირებების მკურნალობის საფასური ყველგან რამდენიმე ათასი დოლარია. ვაჟა კახიანი კი ბევრად უფრო იაფად კურნავს! თანაც — ასპროცენტიანი გარანტიით! მკურნალი აუტანელ ტკივილებს უხსნის ადამიანებს ყოველგვარი საოპერაციო დანის, ნარკოზისა და აპარატების გარეშე.

ვაჟა კახიანი ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო კატალოგშია შეყვანილი.

დღეს ქართველ მედიკოსს ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ცნობილ კლინიკაში იწვევენ სამუშაოდ, მაგრამ მან არჩევანი კარგა ხანია გააკეთა — მშობლიურ ქალაქ თბილისში დარჩება და თავისი ხალხის უდანოდ მკურნალობას მოახმარს საკუთარი ხელების ჯადოსნური ხელების ენერგიას.

**საკონტაქტო ტელეფონებია 30-38-41; 877-42-50-87.**

ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებებიდან რომელიმე გაწუხებთ, მერწმუნეთ, ბატონი ვაჟა კახიანი აუცილებლად გიშველით!

**ლუსია მჭედლური.**

**მამია ალაშვილის ფოტო.**

უსამართლო სამართალი

# დევნილი საჯაიების ოჯახის დევნა ისევ დაიწყება?

**წლები გადის, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილი ჯემალ საჯაიას მრავალსულიანი ოჯახის დაწიოკების გრძელი ამბავი ისევ ტრაგიკულად გრძელდება.**

თუ როგორ რჩება ღია ცის ქვეშ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იმის გამო, რომ წყნეთში უპატრონოდ მიტოვებული ძველი ელექტროსადგურის შენობას, რომლის გვერდით არსებული ნაგავსაყრელი მან ბაღნარად და ადამიანისთვის შესაფერის საცხოვრებლად აქცია, ვიღაცამ კი მისი ხელში ჩაგდება მოინდომა, ამაზე არაერთხელ წერდა „საქართველოს რესპუბლიკა“, წერდა თუ როგორ დაადგა აყვავებულ ეზო-კარს ავი თვალი მავანმა და ამ ოჯახს უკვე მერამდენე წელიწადია სიცოცხლეს უმწარებს.

ჯერ იყო და, წლების წინათ გარდაცვლილ კაცს გაუფორმეს ნაკვეთი დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩაზე, რომელიც „მისი გარდაცვალების შემდეგ“ მეუღლემ გაყიდა. მყიდველი საქართველოს პარლამენტის დეპუტატი მერაბ სამადაშვილი იყო. თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მეპატრონეს მიწის ნაკვეთი გაუპიროვნდა მაია წყნეთელის ქუჩაზე, ხოლო ნაკვეთის ტოპოგრაფიული გადაღება შესრულდა და შემდგომ წითელი ხაზების გეგმა დამუშავდა თამარ მეფის ქუჩაზე, იქ, სადაც უკვე ცხოვრობენ საჯაიები. სწორედ ამ „არევის“ შემდეგ დაიწყო დევნილების ოჯახის არეულობაც. სამადაშვილმა მათი იქიდან გაყრა გადაწყვიტა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ მან ნაკვეთი ვინმე ქეთევან საკანდელიძეს მიჰყიდა, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლის რძალია.

შარშან ძალით გამოყარეს საჯაიები იმ ნაკვეთიდან და რამდენიმეთვიანი შიმშილობის შემდეგ ძლივს მოხერხდა მათი შინ შეშვება.

ჯემალ საჯაიას მრავალშვილიანი დევნილი ოჯახი უკვე მერამდენე წელიწადია ამ მისამართზე ცხოვრობს, თამარ მეფის 52-ში. თუმცა დავის დაწყების დღიდან აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტია ვერ დადგინდა საბოლოოდ საჯაიების შრომით შექმნილი ეს ეზო-კარი თამარ მეფის ქუჩას ეკუთვნის, თუ მაია წყნეთელის 53 ნომერს. მოკლედ, ამ უბრალო და მარტივ ამბავში, გზადაგზა უამრავი თავსატეხი იჩენს ხოლმე თავს.

ახლახან, დეკემბერში, საჯაიებისთვის ცნობილი გახდა, რომ „მეპატრონე“ ქეთევან საკანდელიძე ასე ადვილად დანებებას არ აპირებს. მან განცხადებით მიმართა თბილისის დიდგორის რაიონის გამგებელს, რათა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის ახალი მისამართი მიეცათ, რაც დადებითად გადაწყდა. საქმე ისაა, რომ, როგორც გითხარით, საკანდელიძის მიწის ნაკვეთი საბუთებში მაია წყნეთელის ქუჩაზე არის რეგისტრირებული, ხოლო საჯაიების სახლ-კარი თამარ მეფის ქუჩაზე დგას. ამას ადასტურებს „თელასის“ ტექნიკური დირექტორიც, მაგრამ... როგორც ოჯახის ადვოკატი **ნინო ხუნჯუა** აცხადებს, **ქეთევან საკანდელიძის განცხადების განხილვისას დიდგორის რაიონის გამგეობამ დარღვევებით წარმართა პროცესი. მას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებული მხარისათვის არ უცნობებია, არ შეუმოწმებია საკადასტრო რუქების მიხედვით ყველა ფაქტობრივი გარემოება და ა. შ. ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება საკადასტრო გეგმაზე, მაია წყნეთელის ქუჩა №53-ში მდებარე უძრავი ქონების გვერდით მდებარეობდეს უძრავი ქონება, ოღონდ ამჯერად თამარ მეფის ქუჩა 52-ში?! — დასძენს ქალბატონი ნინო.**

ამ გარემოებებს პრობლემები არ შეუქმნია დიდგორის რაიონის გამგეობისთვის, მაგრამ უდიდეს გასაჭირში აგდებს დევნილების მრავალსულიან ოჯახს, რომელიც არაერთხელ გააძევეს იმ სახლიდან, რომელიც დროებით სარგებლობისთვის ჩვიდმეტი წლის წინათ ყოველგვარი კანონის დაცვით მიაკუთვნა მაშინდელმა ხელისუფლებამ. უკვე ბაღნარად ქცეულ ეზო-კარს (ყოფილ ნაგავსაყრელსძ ახლა ბევრი შურის თვალით შესცქერის და...

მალე ისევ შეიძლება მათ დაცვის პოლიციის თანამშრომლები დაადგნენ და სახლიდან გაუყარონ ნივთები და გაუნიავონ ყველაფერი, რაც აქამდე მძიმე ჯაფით შეუქმნიათ. ეს ხომ არაერთხელ მომხდარა? თუმცა საჯაიებს ჯერ კიდევ აქვთ სამართლის პოვნის იმედი, რადგან ქალაქ თბილისის მერიაში შეიტანეს საჩივარი.

**წინ არჩევნებია. იქნებ ახლა მაინც გააკეთოს გიგი უგულავამ ობიექტური და სამართლიანი საქმე. იქნებ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტონ დევნილი საჯაიების ბედი: ან დაუკანონ, ან დროებით სარგებლობაში გადასცენ ეს ეზო, თუ არადა დაამტკიცონ ის სიმართლე, რასაც „მეპატრონე“ ჩივის და მისცენ საკანდელიძეს ეს ქონება. მაგრამ ამის გამბედაობა ჯერ არავის ეყო, საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის მერია?!**

თეა მოსია

კულტურა



# „ჩხიკვთა ქორწილი“ – სამ თაობასთან ერთად

**16 და 17 იანვარს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლი „ივერია“ განახლებულ „ჩხიკვთა ქორწილს“ დგამს. ლეგენდარული ალექსანდრე ბასილაიას მუსიკამ თავის დროზე ანსამბლს არა მხოლოდ ქართველი ხალხის გულებში დაუმკვიდრა ადგილი, არამედ საერთაშორისო აღიარებაც მოუტანა. „ჩხიკვთა ქორწილის“ პირველი წარმოდგენა 1980 წელს გაიმართა. მას შემდეგ, 30 წლის განმავლობაში იგი ანსამბლის რეპერტუარიდან არ მოხსნილა.**

აღსანიშნავია, რომ „ჩხიკვთა ქორწილით“ პირველად სწორედ ალექსანდრე ბასილაიამ ააჟღერა სცენაზე თეატრალური პიესა საესტრადო ენაზე.

მუსიკალური ხელმძღვანელის გია ბაღაშვილის თქმით, „ჩხიკვთა ქორწილის“ აღდგენა ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი ის, რომ გაიზარდა მთელი თაობა, რომელსაც არ უნახავს უკვე კლასიკად ქცეული ეს მიუზიკლი და მრავალი ღირსებით შემკული ეს მუსიკაც არ მოუსმენია: „შევეცადეთ გვემუშავა პრინციპით — ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. მაქსიმალურად გვინდა, წარმოდგენა თავდაპირველ ვერსიას მივუახლოვოთ. ამის გარდა, სცენაზე პირველად წარდგებიან ერთად სამი თაობის გამორჩეული შემოქმედნი — ნამდვილი დიდოსტატები თავისი საქმისა“...



განახლებულ „ჩხიკვთა ქორწილში“ **თემურ წიკლაური** კვლავ არწივი იქნება, ბუ — **ნუგზარ კვაშალია, მერაბ სეფაშვილი** ყვავის როლს შეასრულებს. მაყურებელს კარგად ახსოვს ყვავის რამდენიმე ძალიან საინტერესო შემსრულებელი: **გოჩა ლორიას** ლეგენდარული ყვავი, ასევე, დასამახსოვრებელი და ექსპრესიული ყვავი იყო **სოსო პავლიაშვილი.**

**მარიამ როინიშვილი** განასახიერებს ჩხიკვ ქეთევანს, ხოლო **ნოდარ ტატიშვილი** — ჩხიკვ ზაქარას. წრუწუნას როლს ასრულებს ქუჩის მუსიკოსების სოლისტი **ხვიჩა მაღლაკელიძე,** ხოლო ძია თომა იქნება ქუჩის მუსიკოსების მეორე სოლისტი **მერაბ სამყურაშვილი.** კაჭკაჭები არიან — **ქეთი წიკლაური, თამარ ოქროპირიძე, ნინო საკანდელიძე.**

როლებს ასრულებენ: **გიორგი კობაიძე, ზვიად აბაშიძე, გუჯა მარდალეიშვილი, სულიკო ღაღაშვილი, გია დავითიანი, ლევან სამყურაშვილი...**

მიუზიკლის ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი რეჟისორია **ჯემალ ბაღაშვილი,** კომპოზიტორი — **ალექსანდრე ბასილაია,** მუსიკალური ხელმძღვანელი — **გია ბაღაშვილი,** ქორმაისტერი — **გელა ფარჩუკიძე,** ქორეოგრაფი — **გოგა ოსეფაშვილი,** მხატვარი — **ანი ნინუა, ვახტანგ ფილფანი.**



„მუსიკალური ხელმძღვანელობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რადგან იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელიც ანსამბლ „ივერიის“ მუსიკაზე გაიზარდა. „ჩხიკვთა ქორწილი“ ჩემთვის ის სამყაროა, რომელსაც კულისებიდან აღვიქვამდი. თუკი მაყურებელი ფრონტალურად უყურებს სპექტაკლს, მე მას სხვადასხვა მხრიდან ვაკვირდებოდი. ამის გარდა, მომსწრე ვარ იმ ტიტანური შრომისა, რომლის შედეგადაც საოცარი სიმსუბუქე სუფევდა სცენაზე. ახლა, როცა ყოველივე ამის წარმართვა მიწევს, ასჯერ მეტად ვაფასებ იმ გრანდიოზულ შრომას, გამომგონებლობას, ორიგინალობასა და დახვეწილ პროფესიონალიზმს, რომლითაც ეს მიუზიკლი იქმნებოდა თავიდან.

ვცდილობ, ძირს არ ჩამოიწიოს ის პროფესიული თამასა, რაზეც ჩვენ — ივერიელები აღვიზარდეთ... აწ გარდაცვლილი ნათლიის შემოქმედების თავმოყრა ძალზე დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, მით უმეტეს, რომ იმავე როიალს უნდა მივუჯდე, რომელთანაც თავის დროზე ბუთხუზი იჯდა და მთელ სპექტაკლს წარმართავდა“... — ამბობს გია ბაღაშვილი.

მისი თქმით, „ჩხიკვთა ქორწილმა“ დროს გაუძლო. იგი მაყურებელს ფილარმონიაში ეპატიჟება ანსამბლ „ივერიისა“ და ალექსანდრე ბასილაიას მადლიანი მუსიკის მოსასმენად.

ნატა ნიბლაძე

ინფორმაცია

## მოახდენენ „კანარგო ჯორჯიას“ პარალიზებას?

**საგარეჯოს რაიონის სოფლების ნინოწმინდისა და წყაროსთავის მოსახლეობა, პროტესტის ნიშნად, ნავთობკომპანია „კანარგო ჯორჯიას“ მუშაობის პარალიზებას გეგმავს. დაზარალებულები სასამართლოს მხრიდან საქმის ობიექტურ განხილვას ითხოვენ.**

— სასამართლოს სარჩელით 2005 წელს მივმართეთ. 2007 წლის 30 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბესიკ სისვიძემ დააკმაყოფილა ჩვენი ადვოკატის შუამდგომლობა და ეკოლოგიური ექსპერტიზა დანიშნა, თუმცა მოგვიანებით საქმიდან ეს გადაწყვეტილება გაქრა. საბოლოოდ, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი გვითხრა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ. სააპელაციო სასამართლომ არბიტრად იგივე მოსამართლე ჩართო საქმის განსახილველად, რომელმაც ჩვენი სარჩელი არ დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, დავას მაინც ვაგრძელებთ, თუმცა პარალელურად ნავთობკომპანიის პარალიზებას ვგეგმავთ. მოვითხოვთ, რომ კომპანიამ დაზარალებულებს კომპენსაცია გადაგვიხადოს, — განუცხადეს „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ დაზარალებულებმა.

შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში №100 ჭაბურღილიდან დიდი რაოდენობით ნავთობი და გაზი 2004 წლის 10 სექტემბერს ამოიფრქვა. ღია შადრევანის დალუქვა სპეციალისტებმა მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოახერხეს. ნავთობის ამოფრქვევის შედეგად სოფლებში ნინოწმინდასა და წყაროსთავში მასობრივად გავრცელდა მკერდის, ყელის და კანის სიმსივნე, გულსისხლძარღვთა დაავადებები. ავარიის შედეგად განადგურდა ასობით ჰექტარი ტყის მასივი, დაბინძურდა წყალი და ნიადაგი.

## აეროპორტში ფრენები აღდგენილია

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენები აღდგენილია.

როგორც აეროპორტის ხელმძღვანელობა აცხადებს, აეროპორტმა ჩვეულ რეჟიმში მუშაობა ცოტა ხნის წინ განაახლა.

ძლიერი ნისლის გამო, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მთელი ღამის განმავლობაში საჰაერო მიმოსვლა შეჩერებული იყო. გაუქმდა სტამბულისა და ვენის რეისები. სხვა დანარჩენი რეისები კი, რამდენიმე საათის დაგვიანებით შესრულდა.



აღნიშნულის გამო მგზავრებს ღამის გათენება აეროპორტში მოუწიათ.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოსთან ომის გმირები არმიიდან გაათავისუფლეს

**რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში მოხდა მორიგი დიდი გადაადგილებანი. დაინიშნა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ძირითადი სახეობის – ქვეითი ჯარების ახალი მთავარსარდალი, აგრეთვე ორი სამხედრო ოლქის სარდლები, მათ შორის ყველაზე „ცხელი" ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი. შესაბამის ბრძანებებს ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა. ამ დროს სახმელეთო ჯარების სარდალი ვლადიმირ ბოლდირევი და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი სერგეი მაკაროვი იყვნენ იმ ოპერაციის საკვანძო მონაწილეები, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში საქართველო აიძულეს, დათანხმებულიყო მშვიდობაზე. ამ ოპერაციისთვის ბოლდირევს მიანიჭა რუსეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო – წმინდა გიორგის მეორე ხარისხი ორდენი, მაკაროვს კი მეოთხე ხარისხისა.**

ვლადიმირ ბოლდირევი, ოფიციალური ვერსიით, გაათავისუფლეს „ზღვრული ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით". იგი 61 წლისაა, ის მართლაც შეიძლება გაუშვა პენსიაზე: 60 წელი სამხედრო სამსახურში ყოფნის უკიდურესი ასაკია და ამის შემდეგ 65 წლამდე გენერლები ვალდებული არიან ყოველწლიურად გააგრძელონ კონტრაქტები. სახმელეთო ჯარების ახალ მთავარსარდლად დაინიშნა ციმბირის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრ პოსტნიკოვი. თავად იგი შეცვალა გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმირ ჩირკინმა, რომელიც იყო შტაბის უფროსი – ვოლგისპირეთ-ურალის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე.

ალექსანდრ პოსტნიკოვი დაიბადა 1957 წელს. დაამთავრა კიევის ზოგად სამხედრო სამეთაურო სასწავლებელი, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. იყო შტაბის უფროსი – ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, შტაბის უფროსი – ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, მოსკოვის სამხედრო ოლქის მეოცე გვარდიული არმიის სარდალი.

ვლადიმირ ჩირკინი დაიბადა 1955 წელს, მან დაამთავრა ყაზანის სუვოროვის სასწავლებელი. მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობებზე – გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში, ბაიკალისპირეთის, მოსკოვისა და სხვა სამხედრო ოლქებში.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, 57 წლის ჩეჩნეთის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ სერგეი მაკაროვის ნაცვლად (საპენსიო ასაკს მან ვერ მიაღწია) დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ გალკინი. ადრე მას ეკავა შტაბის უფროსის – ციმბირის სახედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილის თანამდებობა.



ალექსანდრ გალკინი დაიბადა 1958 წელს. იყო ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე, ციმბირის სამხედრო ოლქის 41-ე საერთო სამხედრო არმიის სარდალი, ციმბირის სამხედრო ოლქის სასაზღვრო არმიის შტაბის უფროსი. დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია, მსახურობდა არმიის სარდლის მოადგილედ. 1959 წელს ორჯონიკიძის უმაღლესი ზოგადსამხედრო სასაზღვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა მოტომსროლელი ათეულის, ასეულის მეთაურად, ბატალიონის შტაბის უფროსად, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურად და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილედ.

გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს ახალ უფროსად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ანდრეი ტრეტიაკი. შტაბის ყოფილი უფროსი – ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე. ის შეცვალა გენერალ-მაიორმა ივან ბუვალცევმა. მთავარი ოპერატიული სამმართველოს ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი სერგეი სუვორინი დაინიშნა ვოლგისპირეთ-ურალის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველ მოადგილედ. ესე იგი გენერალი დედაქალაქიდან პერიფერიაში გადავიდა.

ანდრეი ტეტრიაკი დაიბადა 1959 წელს. დაამთავრა კიევის უმაღლესი სამხედრო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელი, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. გაიარა ყველა ძირითადი სამეთაურო და საშტაბო თანამდებობა. მსახურობდა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში, ბელარუსში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, მოსკოვისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქებში.

2007 წლის თებერვლიდან, როდესაც სამხედრო უწყების ხელმძღვანელობაში ანატოლი სერდიუკოვი მოვიდა, შეიცვალა პრაქტიკულად თავდაცვის მინისტრის ყველა მოადგილე, შეიარაღებული ძალების სახეობათა მთავარი სარდლები, ჯარების სახეობათა სარდლები და ა.შ. რადიკალური გადაადგილებანი მოხდა აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს მთავარ და ცენტრალურ სამმართველოებში. სამხედრო უწყების „ხანდაზმულთა შორის" დარჩნენ მხოლოდ სტატს-მდივანი ნიკოლაი პანკოვი და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი ალექსანდრ ზელინი.

გადაყენების მესამე მიზეზად ასახელებენ თავდაცვის სამინისტროს ინსპექციის მუშაობის წინასწარ შედეგებს. მთავარ სამხედრო პროკურატურასთან თანამშრომლობით იგი აწარმოებს უმაღლეს სარდლობებში, ჯარების სახეობებში, აგრეთვე დეპარტამენტებში, თავდაცვის სამინისტროს მთავარ და ცენტრალურ სამმართველოებში მასშტაბურ შემოწმებას, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო უწყებაში კორუფციის ფაქტებთან. შემოწმება პირველ მარტამდე გაგრძელდება.

**ნიკოლაი პოროსკოვი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# WELCOME TO ESTONIA, მიშიკო!

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 20 იანვრისთვის დანიშნულმა ვიზიტმა ესტონეთში დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ტალინში წაიკითხავს ლექციას. ლექციის თემა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ იგი მიეძღვნება „ფერადი რევოლუციის" ტექნოლოგიებს. ვისგან შეიძლება მოისმინო უფრო დაწვრილებით, თუ არა საქართველოს „ვარდების რევოლუციის" ლიდერისგან, წვრილმანები ამ პოსტმოდერნიზმის პოლიტიკის კლასიკის განხორციელებაში.**

არსებითად, პოლიტიკური პოსტმოდერნიზმის ეპოქა დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც „რუხი რევოლუციის" ლიდერი გახდა დიდი სამხატვრო ტალანტის მფლობელი, ბრბოს მმართველი – ადოლფ ჰიტლერი. სწორედ მისგან დაიწყო ნამდვილი პოსტმოდერნისტული კომედიანტების ეპოქა. იმ დროიდან მომდინარეობს განათლების რაციონალური პრინციპების თანდათანობითი კვდომა.

არ შეიძლება ითქვას, რომ განათლების იდეები უბრძოლველად ნებდებოდნენ. თითქოსდა, რადიკალურად მოჩვენებული რევოლუციური მოძრაობა, როგორიც იყო რუსეთის ბოლშევიზმი, ეყრდნობოდა თავის საშინაო რაციონალურ ტექსტებს („კომუნისტური მანიფესტი", „კაპიტალი"ძ, რომლებიც თავის დროზე ახდენდნენ განათლების იდეის ინტერპრეტაციას. ხშირად კი მიდიოდნენ რელიგიური ტრადიციების სიღრმეებში.

ამჟამად სულ სხვა დროა. „ფერადი რევოლუციების" ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია რეალობის ხელოვნური კონსტრუირება, კარნავალობა. ეს დამახასიათებელია ყველა საზოგადოებისთვის, სადაც ხდება ცხოვრების ჩვეულებრივი ნორმების მკვეთრი გარდაქმნები. გვიანი შუა საუკუნეების დროიდან მოყოლებული, „კარნავალური კულტურის" გამოჩენა შესანიშნავად გვიჩვენა მიხაილ ბახტინმა. კერძოდ, სახუმარო „მაისის ხელმწიფის" საკვანძო ფიგურა, რომელიც პარადოქსულად გარდაიქმნება ხელისუფლების ნამდვილ მპყრობლად, მაშინ, როდესაც ნამდვილი ხელმწიფე გამოიყურება, როგორც მასხარა.

მაგრამ შუა საუკუნეების შემდეგ არავითარი შედარება არ შეიძლება მასობრივი შეგრძნების მანიპულაციებთან, რომლებიც დაიწყო მე-20 საუკუნეში მძლავრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და უწინარეს ყოვლისა – ტელევიზიის გამოჩენით. გულახდილად რომ ითქვას, თავად ცნება „მასობრივი შეგრძნება" გაჩნდა სწორედ გასულ საუკუნეში. კარნავალის მასობრივ შეგრძნებასთან მანიპულაციის კლასიკური ნიმუში გახდა კიევის მაიდანის რევოლუცია. „მაისის ხელმძღვანელებმა" იუშჩენკომ და ტიმოშენკომ ასი პროცენტით გამოიყენეს „თავიანთი" რეალობის კონსტრუქცია „დეკორაციასთან" შეხამებით და ეს მოხდა სწორედ ტელევიზიის დახმარებით.

განუწყვეტელი კარნავალი მაიდანზე გადაიცემოდა, როგორც უკრაინის ერთადერთი რეალობა. ამავე დროს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა თავის ყოველდღიურ საქმეს აკეთებდა, მას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია მაიდანთან – ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ვირტუალური რეალობა ხდება ერთადერთი და აყალიბებს წარმოდგენას მშვიდობის შესახებ.

მაგრამ ძველ საზოგადოებრივ მატრიცებზე უარის თქმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ახლის გამოჩენას. არც საქართველოში, არც უკრაინაში, არც ყირგიზეთში „ფერად რევოლუციებს" არ ჰქონიათ არავითარი სერიოზული პოზიტიური პროგრამები საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით. ანდაც, „კარნავალისგან" ამის მოთხოვნა, უბრალოდ, სისულელე იყო.

პოსტმოდერნის ერთ-ერთ მთავარ გართობას წარმოადგენს ფლეშმობი („მოულოდნელი ბრბო"ძ. მართალია ფლეშმობის იდეოლოგები ახდენენ მისი სრული აპოლიტიკურობის დეკლარირებას, პოლიტტექნოლოგები წარმატებით იყენებენ მას პოლიტიკურ აქციებში, ვინაიდან ადამიანთა ატომიზირებული მასა საკრალური „ტექსტების" ნგრევის გარეშე არის მხოლოდ ბრბო, რომელიც ასრულებს აფსურდულ მოქმედებებს (მაგალითად, ვანდალიზმსძ, მისი წარმართვა შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით.

საინტერესო ნამუშევარში, რომელიც ეძღვნება „ფერად რევოლუციებს", სერგეი კარა-მურზას მოჰყავს მაგალითი თითქოსდა „ფერადი რევოლუციებისგან" შორეული წერტილიდან – კუნძულ ჰაიტიდან. თავდაპირველად ჰაიტელი გენერლები, რომლებიც ამერიკის სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულები არიან მთლიანად, ბრბოს მეშვეობით იყენებენ ლიბერალური დემოკრატების ცემის მეთოდებს, ცოტა ხნის შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის მითითებით, იგივე ბრბო აწყობს სამხედრო ხუნტის წევრების ცემა-ტყეპას. ასეთი სიტუაციაა საქართველოში: პრაქტიკულად ერთიდაიგივე ბრბო აიძულებს შევარდნაძეს გადადგომას, შემდეგ კი ცდილობს სააკაშვილის ჩამოგდებას. უკრაინაც აგრძელებს თავის კარნავალს: კუჩმა, იანუკოვიჩი, ტიმოშენკო, იუშჩენკო. საკრალური „ტექსტები" დაკარგულია, შესაბამისად ბატონობენ არა იდეები, არამედ პოლიტტექნოლოგიები.

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ისტორიზმის პრინციპების გაქრობას მივყავართ ისტორიული განვითარების რაციონალური რეკონსტრუქციის აბსოლუტურ შეუძლებლობამდე და მისი ინტერპრეტაციების უსაზღვრო სიმრავლემდე. ეს ხდება სასკოლო სწავლების თავად ტრადიციული სისტემის ნგრევით. „ინტერნეტის შვილები" გატაცებული არიან სრულიად აბსურდული, მაგრამ ისტორიის ესთეტიკურად მიმზიდველი ინტერპრეტაციით. როდესაც ისინი გაიზრდებიან, წარმოჩნდებიან იმავე ამოტივიზებულ ბრბოში, რომელსაც არ აერთიანებს არანაირი ფესვები. „ფერადი რევოლუციებისთვის" უფრო კეთილშობილი სარბიელის მოძებნა ძნელი წარმოსადგენია.

სააკაშვილი ჩადის ესტონეთში იმ პერიოდში, როდესაც მწიფდება დიდი ცვლილებანი. მის ლექციას „ფერადი რევოლუციის" ტექნოლოგიების შესახებ დიდი ყურადღებით მოისმენდნენ, როგორც ეროვნული სახელმწიფოს აშკარა მომხრეები, ევროსაბჭოს „გამყიდველი სუვერენიტეტით" უკმაყოფილონი, ისე ისინი, ვინც ოცნებობენ რუსული მოძრაობის აქტივისტების ცვლილებებზე. მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ ლექცია მიეძღვნას ამ საინტერესო პრობლემატიკას.

DELFI

## დედამიწის ზურგზე



**ისრაელელი მულტიმილიონერი ჭკუიდან შეიშალა: ის ცდილობდა, შეეღწია ღაზის სექტორში და გაეთავისუფლებინა ტყვე ჯარიკაცები**

საფეხბურთო კლუბ „ბეითარის" მფლობელს გუმა აგუიარს სურდა „ეხილა, თუ როგორ ცხოვრობენ პალესტინელები და მოენახა მათთან დაახლოების წერტილები". იგი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ უკვე შეხვდა კაპრალს – იგი თითქოსდა თავს კარგად გრძნობს და მალე მას გაათავისუფლებენ. აგუიარი ჰოსპიტალში გადაიყვანეს ოჯახის თხოვნით.

* * *

**სეულმა შეცვალა გეგმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევისთვის**

სამხრეთ კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვითარების მკვეთრი შეცვლის შემთხვევაში სამხრეთ კორეის მთავრობა „შექმნის ჩრდილოეთში მმართველობის ორგანოს კორეის რესპუბლიკის გაერთიანებისა და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღების საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით. გეგმით აგრეთვე განიხილავენ კორეის გაერთიანების ვარიანტსაც.

* * *



**ჰაიტიში დაიწყო საერთაშორისო გაერთიანების დახმარების შემოსვლა. მოსკოვიდან სამი თვითმფრინავი გაფრინდა**

ძნელი წარმოსადგენია იმ კატასტროფის მასშტაბები, რომელიც ჰაიტის დაატყდა თავს. „ეს ძნელია, თუ საკუთარი თვალით არ ნახე", – განაცხადა ჰაიტის პრეზიდენტმა რენე პრევალმა. სახლების ნანგრევებში დღემდე რჩებიან უამრავი დაზარალებულები, რომელთა გადასარჩენადაც აუცილებელია სპეციალური ტექნიკისა და პერსონალის გამოყენება.

* * *

**იორდანიის ოპოზიციამ მთავრობას მოსთხოვა, შეწყვიტოს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ავღანეთში**

78 კაცის აზრით, რომლებმაც ხელი მოაწერეს პეტიციას, „ომს, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ, არავითარი საერთო არ გააჩნია ორდანელი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებთან". დეკემბრის ბოლოს ორმაგმა აგენტმა იორდანიიდან მოქმედებაში მოიყვანა შახიდის სარტყელი დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ბაზაში ავღანეთში.

* * *

**ამერიკელმა მეცნიერებმა სოიის გენომის 85 პროცენტი გაშიფრეს**

ეს არის დიდი საკვლევი კოლექტივის 15-წლიანი მუშაობის შედეგი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ 18 სახელმწიფო და კერძო უწყებანი და ორგანიზაციები. წარმატება საშუალებას იძლევა ამ მეტად ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.



დროთა ვითარებაში

# ელცინი. ოჯახი. 10 წლის შემდეგ

## სად არიან ამჟამად პირველი პრეზიდენტის ახლობლები და თანამებრძოლები

10 წელი შესრულდა, რაც რუსეთის ფედერაციის პირველმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მოულოდნელად განაცხადა გადადგომის შესახებ. საინტერესოა, რას აკეთებენ ამჟამად მისი ოჯახის წევრები, ელცინის 90-იანი წლების დასასრულის გარემოცვის საკვანძო ფიგურები?




### ელცინის გარემოცვა

ვინ იყო 90-იანი წლების ბოლოს. რას აკეთებს ამჟამად.

ნაინა ელცინა. ქვეყნის პირველი ლედი, დიასახლისი. / პენსიონერი. ზოგიერთი მონაცემებით, ამას წინათ სახელმწიფო აგარაკიდან ბარვიხაში გადავიდა კერძო აგარაკზე გორკში-10, ხშირად სტუმრობს შვილებსა და შვილიშვილებს, უკანასკნელ ხანებში აქტიურად ითვისებს ინტერნეტს.

ელენა ოკულოვა, უფროსი ქალიშვილი. დიასახლისი. / დიასახლისი.

ვალერი ოკულოვი, უფროსი ქალიშვილის ქმარი, ავიაკომპანია „აეროფლოტის“ გენერალური დირექტორი. / რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე.

ტატიანა იუმაშევა (დიაჩენკოძ, უმცროსი ქალიშვილი. 1997-დან 1999 წლამდე – პრეზიდენტის მრჩეველი იმიჯის საკითხებში. / ბორის ელცინის ფონდის დირექტორი.

ბორის ელცინი – უმცროსი, შვილიშვილი. პრეზიდენტი-ბაბუის დროს დაამთავრა ელიტური ინგლისური კოლეჯი მილფორდში, მგიმო. / ზოგიერთი მონაცემებით, მუშაობს ინტერნეტ-სტუდიაში და სწავლობს სოციალური ქსელების განვითარების საკითხს ინტერნეტში, ერთ დროს იყო რუსეთის გუნდის „ფორმულა-1“-ის მარკეტინგის დირექტორი. შარშან ზაფხულში საუბრობდნენ მისი დაქორწინების შესახებ მოდელზე, საფინანსო აკადემიის სტუდენტ მარგარიტა ანაბერდიევაზე.

ვალენტინ იუმაშევი. 1997-1998 წლებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ტატიანა დიაჩენკოს ქმარი (2002 წელს მათ გაუჩნდათ ქალიშვილი მაშაძ. / მუშაობს ზოგიერთი კომერციული სტრუქტურის კონსულტანტად. ბორის ელცინის ფონდის ერთ-ერთი დამაარსებელი. იუმაშევის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან პოლინა არის რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი ოლიგარქის, „ბაზელის“ ხელმძღვანელის ო.დერიპასკას მეუღლე.

ბორის ბერეზოვსკი. მას ჰქონდა „კრემლის რუხი კარდინალის“ რეპუტაცია. 1996 წელს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ. 1999 წელს აირჩიეს სახელმწიფო დუმის დეპუტატად. / ცხოვრობს ლონდონში, მას ეძებს გენერალური პროკურატურა მთელ რიგ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. ორი მათგანის მიხედვით უკვე გასამართლებულია დაუსწრებლად.

რომან აბრამოვიჩი. ითვლებოდა პრეზიდენტის ოჯახის საფინანსო „მფარველ ანგელოზად“, ფლობდა კომპანია „სიბნეფტს“. / ჩუკოტკის ავტონომიური ოლქის დუმის თავმჯდომარე, ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ჩელსის“ მფლობელი, ძველებურად რუსეთში ერთ-ერთი მდიდარი პიროვნებაა. 2009 წლის მარტისთვის მისი ქონება, „ფორბსის“ შეფასებით, 8,5 მილიარდი დოლარია.

ალექსანდრ ვოლოშინი. ელცინის დროს უკანასკნელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. / კომპანია „ნორილსკის ნიკელის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

ვლადიმირ შევჩენკო. პრეზიდენტის საოქმო სამსახურის ხელმძღვანელი. / რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველი.

პაველ ბოროდინი. პრეზიდენტის საქმეთა მმართველი. / რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს მდივანი.

სერგეი იასტრჟემბსკი. 1996-1998 წლებში იყო პრეზიდენტის პრეს-მდივანი, კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, / „თავისუფალი მხატვარი“, თავგადაკლული მონადირე და ფოტოგრაფი. მისი ფოტონამუშევრები არის მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის და რუსეთის სხვა მუზეუმების კოლექციებშიც. ამას წინათ ერთ-ერთმა ჟურნალმა გამოაქვეყნა მისი ფოტორეპორტაჟების სერია „მოგზაურის ჩანაწერები“.

სერგეი სტეპაშინი. 1999 წლის მაისიდან აგვისტომდე იყო პრემიერ-მინისტრი, ელცინის მიერ განიხილებოდა მომავალ მემკვიდრედ. რუსეთის ფედერაციის ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

მიხაილ კასიანოვი. ბორის ელცინის მიერ დანიშნული ფინანსთა უკანასკნელი მინისტრი, მოგვიანებით – ექს-პრეზიდენტის რეკომენდაციით პრემიერ-მინისტრი გახდა. / ოპოზიციური მოძრაობის „რუსეთის სახალხო დემოკრატიული კავშირი“ ლიდერი.

ვლადიმირ რუშაილო. პრეზიდენტის მიერ დანიშნული უკანასკნელი შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტმა ის დააჯილდოვა რუსეთის გმირის ვარსკვლავით. / ფედერაციის საბჭოს წევრი.

განსჯა

# აავი ძვრების ქვეყანაა, ოხვრით შემოვიარეე...

**რა დასამალია და, საქართველოში გვიყვარს უქმეები და დღესასწაულები (ბევრიც რომ დამალო, ჭირისა არ იყოს ლხინი დამალავს თავს...ძ; მიუხედავად იმისა, რომ ათასობითა და ათიათასობით ადამიანი, ეპიდემიური, მეტიც, პანდემიური უმუშევრობის გამოისობით უქმად ყოფნასაა მიჩვეული, მორიგ უქმეებს ლაღად ვხვდებით.**

არც ისაა დასამალი, რომ ხელისუფლება ამ ლამის ეროვნულ სიყვარულსა თუ სილაღეს ყოველნაირად, ყველა სისწორითა თუ უსწორობით აქეზებს. ხალხისთვის როცა მისაცემი არაფერი არა აქვთ, იმას დღესასწაულებსა და უქმეებს აძლევენ. **ნეტავ ვინმემ თუ მოითვალა, რამდენი გვაქვს ქვეყანაში არასამუშაო და საზეიმო დღე!** 365-დან (ნაკიანში – 366-დანძ კაი ბლომად გამოვა, ხო იცი შენ!.. ეგებ თვით აფრიკელთა ტომებიც კი ვერ შეგვედარონ ამგვარი ციფრით.

და მიუხედავად სოლიდური რაოდენობისა, ახალ-ახალი სადღესასწაულო დღეების მოგონებაშიც მარჯვეები ვართ. მაგალითად, სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ჩვენს პარლამენტში შესულია კანონპროექტები ავლაბრის რეზიდენციაში პრეზიდენტის გადაბარგებისა და ბათუმში ხოსე კარერასის ჩამოსვლის დღეების საზეიმო უქმეებად გამოცხადების შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **უსო** (უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოძ მეორე თუ არა, მესამე წაკითხვით მიიღებს და კანონებად აქცევს.

ქცევაზე გამახსენდა – შენიშნეთ, როგორ გადააქციეს ჩვენთა ხელისუფალთა **საახალწლო დღეები საპიაროდ?** რამდენ უპატრონო ბავშვთა სახლს, რამდენ უმწეო მოხუცთა თავშესაფარს, რამდენ დევნილთა დასახლებას, რამდენ საპატიმროს მიაკითხეს სურსათ-სანოვაგით, ტკბილეულით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, კომპიუტერებითა თუ ტელევიზორებით? (არ მითხრათ ახლა, მთელი ეს საჩუქრები საკუთარი ჯიბით, საკუთარი საბანკო ბარათებით, ხელფასებით, პრემიებით შეიძინესო...ძ; და არც ერთი რომ ეკრანზე გამოუფენლად არ დასტოვეს?..

ვინ მამაძაღლი, ძველმოქმედებას, მეტადრე სახელისუფლოს, რა სჯობს, ოღონდ იმ მიუსაფარ მოხუცებს, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, ავადმყოფებს, პატიმრებს, დევნილებს წელიწადში ერთხელ სჭირდებათ ჭამა, სმა, მიხედვა, წამლები და საერთოდ, ყურადღება? მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარე რომ გაგვეჩითა ხუთბავშვიან ოჯახში განცხადების საფუძველზე მისული – ასეთი განცხადებები უწყვეტ ნაკადად რომ შედის მთელი წლის განმავლობაში საკრებულოებში, გამგებლობებში, მერიაში, მთავრობაში, პრეზიდენტის კანცელარიაში და ასე ხშირად ურეაგირებოდ რჩება და კალმის მოსმითა და ხელის აქნევითაა მოშორებული – ეს როგორღა არის?.. მთელი წელიწადი ახალი წელი უნდა იდგას, რომ ეშველოს ხალხს?..

კონცერტები ქუჩებში, კონცერტები მოედნებზე, კონცერტები პარკებში, ლუსტრაველი (ყოჩაღ, ვინც პირველმა მოიფიქრა!ძ რუსთაველზე, შოუები, სერიალები, „სიცილები“ (სიცილის ზონით, იუმორინათი, კომედია-კლაბით...ძ ტელეეკრანზე... – **მეტი რა გინდა, ქალოო,** – რა ვქნა, ჩემმა დაწყევლილმა მეხსიერებამ რომ წამომაგონა საბჭოური ხანის ერთი რაიკომის პირველი მდივნის პასუხი გაჯიუტებული მთხოვნელი მანდილოსნისადმი; და კიდევ, მაიაკოვსკი რომ ამომიტივტივდა: „ჰავანას თვალი რომ წამიერ შეავლო– სამოთხე ქვეყანა, ნანატრი ქვეყანა“...

პოტიომკინის სოფელი კი არა, **პოტიომკინის საქართველო** გავხდით...

**თამაზ ებანოიძე**

**შპს თასსკო „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე:**

1. ეზოში სავაჭრო ჯიხურის ჩასადგმელ 40 მ² ადგილზე. საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს ხუთ ლარს.

2. სარდაფში 590 მ². საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს 2 ლარს.

3. ვესტიბიულში I სართულზე ჯიხურის ჩასადგმელ 5 მ². საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს.

ზემოთ აღნიშნულ საწყის ქირებს ემატება დღგ და კომუნალური გადასახადები.

**აუქციონი შედგება 2010 წლის 29 იანვარს 14 საათზე, ჯიქიას ქ. №10-ში. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 28 იანვარი.**

**საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.**

**საწარმოს დირექცია.**

## ◉ კალათბურთი

# მინუს ერთი



**ახალი საკალათბურთო სეზონი სამწუხარო ფაქტით დაიწყო – სუპერლიგის მონაწილეთა რიგებს „ავიამშენი“ გამოაკლდა, რომელიც უსახსრობას შეეწირა.**

შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი ყველა ქართული ტიტულის მფლობელია. ლევან მოსეშვილის გუნდმა სხვადასხვა დროს ეროვნული ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას, აგრეთვე დუდუ დადიანის მემორიალები მოიგო, რაშიც დიდი წვლილი მის სპონსორს – 31-ე ქარხნად ცნობილ საავიაციო-საწარმოო გაერთიანებას მიუძღვის.

დავძენთ, რომ სწორედ ავიატორთა ფინანსურმა პრობლემებმა გამოიწვია ისნელთა დაშლა.

## ◉ ფეხბურთი

# უცხოური მოზაიკა

**აფრიკის ერონვნებათა თასის გათამაშების სტარტზე კიდევ ერთი ფავორიტი შერცხვა. ესაა კამერუნის ეროვნული ნაკრები („დ“ ჯგუფიძ, რომელიც გაბონელებთან დამარცხდა – 0:1.**




**ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრა ზამბიისა და ტუნისის გუნდებს შორის ფრედ დასრულდა – 1:1.**

* * *

**იტალია. თასი.** „იუვენტუსი“ – „ნაპოლი“ 3:0, „ჯენოა“ – „კატანია“ 1:2, „მილანი“ – „ნოვარა“ 2:1.

**ესპანეთი. თასი.** „სევილია“ – „ბარსელონა“ 0:1, „დეპორტივო“ – „ვალენსია“ 2:2, „ოსასუნა“ – „ჰერკულესი“ –1:0, „რასინგი“ – „ალკორკონი“ 0:0, „ხეტაფე“ – „მალაგა“ 5:0.

**ინგლისი. ასოციაციის თასი.** „ლივერპული“ – „რედინგი“ 1:2 (დამატებით დროშიძ, „ნიუკასლი“ – „პლიმუთი“ 3:0.

**საფრანგეთი. თასი.** „სენტ ეტიენი“ – „მარსელი“ 2:3, „ლიონი“ – „მეცი“ 3:0, „გენგამი“ – „პსჟ“ 1:0, „ტულუზა“ – „ნანსი“ 3:0.

## ◉ ჭიდაობა

# უმანუჩაროდ?

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 23-24 იანვარს ქუთაისში გაიმართება. ხალიჩაზე, ალბათ, ყველა უძლიერეს ქართველ ფალავანს ვიხილავთ, თუმცა სათუოა შეჯიბრებაში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე და ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი მანუჩარ ცხადაია ჩაება. მან ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის ტრავმა მიიღო და კარგა ხანია, მთელი დატვირთვით წვრთნას ვერ ახერხებს.**

პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენმა აღნიშნა, რომ ურჩევნია, საერთაშორისო შეჯიბრებისთვის ფორსირებულად არ მოემზადოს. მწვრთნელები აუცილებლად თუ მიიჩნევენ, საქართველოს ჩემპიონატშიც იჭიდავებს.

მანუჩარ ცხადაია 66 კილოში ასპარეზობს და მსოფლიო სარბიელზე ამ წონაში საკმაოდ სერიოზული მეტოქეები ეყოლება, მათ შორის აზერბაიჯანელი მსოფლიოს ჩემპიონი ფარიდ მანსუროვი, მოსკოველი ევროპის ჩემპიონი ამბაკო ვაჩაძე,



კუბელი პედრო მულენი, ფრანგი სტივ ჟენო და სხვები. მათთან საპაექროდ სერიოზულად მომზადება სჭირდება, რადგან რევანშები აქვს ასაღები. იმედია, ქართველი ფალავანი წლეულსაც გაგვახარებს.

**ლექსო ცინცაძე**

## ◉ ჭადრაკი

# ხურციძემ ჩემპიონიც დაამარცხა



**ქუთაისში მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა ნინო ხურციძემ თეთრი ფიგურებით საქართველოს ნაკრების წევრს, ქვეყნის ჩემპიონ მაია ლომინეიშვილს სძლია და 4,5 ქულით პოზიცია განიმტკიცა.** ზედიზედ მეორე პარტია მოიგო ნანა ძაგნიძემ, რომელმაც სტარტზე სამი შეხვედრა დათმო. ამჯერად მან შავი ფიგურებით მაკა ფურცელაძე დაამარცხა. ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მირანდა მიქაძე – თამარ წერეთელი 0,5:0,5, ნინო ბაციაშვილი – ანა გავაშელი 0,5:0,5, სოფიო ხუხაშვილი – ინგა ხურცილავა 1:0, სალომე მელია – მერი არაბიძე 1:0, ბელა ხოტენაშვილი – ქეთი წაწალაშვილი 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა ასეთია:** ხურციძე – 4,5, მელია – 4, ბაციაშვილი, წერეთელი – 3,5-3,5, მიქაძე – 3, ლომინეიშვილი – 2,5, არაბიძე, ფურცელაძე, ხუხაშვილი, ძაგნიძე, წაწალაშვილი – 2-2, ხოტენაშვილი, გავაშელი – 1,5-1,5, ხურცილავა – 1 ქულა.

ვაჟებში მესამე ტურმა გამოავლინა მეწინავე – იგი გახდა მერაბ გაგუნაშვილი, რომელმაც შავი ფიგურებით ზურაბ ჯავახაძეს სძლია. წარმატებას მიაღწიეს, ასევე, ბეგლარ ჯობავამ და თამაზ გელაშვილმა, რომლებმაც, შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონი თორნიკე სანიკიძე და გაიოზ ნიგალიძე დაამარცხეს. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კი დაზავდნენ: დავით ბენიძე – ლუკა პაიჭაძე, მალხაზ სულაშვილი – დავით არუთინიანი, დავით ჯოჯუა – კონსტანტინე შანავა, ლევან ფანცულაია – გიორგი მარგველაშვილი.

მერაბ გაგუნაშვილი 2,5 ქულით ლიდერობს. **შემდეგ მოდიან:** ჯობავა, გელაშვილი, არუთინიანი, პაიჭაძე – 2-2, ბენიძე, ჯოჯუა, მარგველაშვილი, შანავა – 1,5-1,5, სანიკიძე, ჯავახაძე, ფანცულაია, ნიგალიძე – 1-1, სულაშვილი – 0,5 ქულა.

**გიორგი გაგუა**

## ◉ ფარიკაობა

# ირანში ხმლისა და დაშნის ტრიალით

**ქართველმა მუშკეტერებმა წლევანდელი სეზონის სტარტი სპარსეთის ქალაქ კიშში აიღეს, სადაც მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის ორთაბრძოლები გაიმართა.** ჩვენი გუნდის წევრმა ბექა ბაზაძემ ხმლით ფარიკაობაში მე-8 ადგილი დაიკავა და რეიტინგი 14 ქულით გაიმდიდრა. ხმლითვე იასპარეზა ლაშა მიქელაძემ, რომელიც მხოლოდ 30-ე ადგილს დასჯერდა. დაშნით გავიდა სარბიელზე დავით ელბაქიძე. მან 23-ე ადგილით საკუთარ მონაგარს მხოლოდ 4 სარეიტინგო ქულა შესძინა.

16-17 იანვარს მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპს სტამბოლი უმასპინძლებს და ქართველი სპორტსმენები რეიტინგის გაუმჯობესებას იქაც შეეცდებიან.



## ◉ ინტერნეტიდან

### პაპი სპორტსმენების მფარველი?

**აწ გარდაცვლილი რომის პაპი იოან პაველ II ბეატიფიკაციის ცერემონიის შემდეგ, შესაძლოა, სპორტსმენების მფარველი გახდეს. როგორც ვატიკანის რადიო იტყობინება, ასეთი წინადადებით შევიდა კანონიზაციის საქმეში ვატიკანის კონგრეგაციის თავკაცი კარდინალი ჟოზე სარაივა მარტინიში. პოლონელი პაპის ბეატიფიკაცია კი ალბათ წლეულს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დროს უნდა მოხდეს, რასაც კარდინალმა უწოდა „კეთილი შემთხვევა“, რათა სპორტსმენებმა განსაზღვრონ ზეციური მფარველი.**

„იოანე პაველი თავად ნამდვილად კარგი სპორტსმენი იყო. მას ღრმად ესმოდა სპორტის ჭეშმარიტად ქრისტიანული და ადამიანური მნიშვნელობა“, – აღნიშნა კარდინალმა. – ქრისტიანული ტრადიცია განსაზღვრავს საქმიანობის სხვადასხვა პროფესიისა და სახეობების წარმომადგენელთა ზეციურ მფარველებს, რაც ღრმა ფესვებით მოდის ჩვენი რწმენის პირველ საუკუნეებში და არსებობს ბევრ ეკლესიაში, წმინდანობასა და ციურ მხარდაჭერას რომ აღიარებს“.



### მსოფლიო ჩემპიონატი აჯობებსო

**ჩოგბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ამჟამად პროფესიონალ ჩოგბურთელთა ერთ-ერთი მთავარი გუნდური შეჯიბრებაა დევისის თასი. ახლა სწორედ ჩოგბურთელ-პროფესიონალთა ასოციაციის საბჭო შევიდა წინადადებით, რომ მოეწყოს მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც იქცევა მთავარ საერთაშორისო ტურნირად დევისის თასის ნაცვლად.**

სერბი ჩოგბურთელის ნოვაკ ჯოკოვიჩის აზრით, ის კი მოთამაშეთა საბჭოში შედის როჯერ ფედერერთან და რაფაელ ნადალთან ერთად, ასეთი ნაბიჯი შეკვეცავს სეზონს და რამდენადმე განტვირთავს სპორტსმენებს.



„ჩვენ ეს უნდა განვიხილოთ ყოველმხრივ, – აღნიშნა ჯოკოვიჩმა, – რათა სპორტის ჩვენი სახეობა უფრო უკეთესი გავხადოთ, ეს კი მთავარია!“ თუმცა ჯერჯერობით არ ლაპარაკობენ ამ სიახლის წვრილმანზე, მაგრამ ბრიტანულ პრესაში მიუთითებენ, რომ შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატმა მიიღოს წოდება „ერთა დიდი მუზარადი“. და ის ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება. ის 10 დღე გაგრძელდება და მასში ოთხ ჯგუფად დაყოფილი 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. პლეი-ოფში გავა 16 გუნდი. თითოეული ორთაბრძოლა სამ გამარჯვებამდე გაგრძელდება. ყოველ ნაკრებში იქნება სულ ცოტა ორი ჩოგბურთელი მთელი მატჩის განმავლობაში.

### სტუმრებს შეჯავშნიან

**სამხრეთ აფრიკული კომპანია Protektorvest, ჯავშანჟილეტების დამზადებაში რომაა დასპეციალებული, ფეხბურთის გულშემატკივრებს სთავაზობს, გამოიყენონ მისი ნაწარმი მსოფლიო პირველობის დროს.**

„რაღაც 69,95 დოლარი და თქვენ დაცული იქნებით ტყვიებისა და მჩხვლეტავი საგნებისგან. ამ სასაცილო თანხის გაღებით თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ თქვენი გუნდის ქომაგობა. ჩვენი ჯავშანჟილეტები გაკეთებულია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ისინი




მოსახერხებელი და მსუბუქია, – ნათქვამია რეკლამაში.

ამას გარდა, ჯავშანჟილეტზე უფასოდ კეთდება მყიდველის არჩევანით ამა თუ იმ ქვეყნის გერბის გამოსახულება.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა მოსახლეობის სულადობის მიხედვით მკვლელობების რაოდენობით, ასე რომ, ჩამორჩება მხოლოდ კოლუმბიას და უსწრებს იამაიკას, ვენესუელასა და რუსეთს. ხოლო ტოლი არ ჰყავს ყაჩაღურ თავდასხმებში.

### ბუფონის დასამშვიდებლად

**სწორედ რომ არაფერს არ იშურებს იტალიური „იუვენტუსის“ წლევანდელ უგერგილო თამაშის გამო გამწარებული ქმრისა და „ბებერი დედაბრის“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის დასამშვიდებლად ჩეხი მოდელი ალენა სერედოვა. თავად ჯიჯი ახლა მუხლის ნაოპერაციებს იშუშებს, თუმცა ამას ხელს უშლის მატჩიდან მატჩამდე „იუვენტუსის“ სამარცხვინო წაგებები. ძნელი მისახვედრი როდია, თუ როგორ განიცდის ყოველივე ამას ერთ დროს შეუდარებელი მეკარე.**



თავად ალენა კი, მიუხედავად იმისა, რომ ახლახან მეორე ბავშვი გააჩინა, დიდებულ ფორმაშია, რაც ნათლად გამოჩნდა მორიგ ფოტოსესიაში. ამჯერად ლამაზმანი გადაიღეს 2010 წლის კალენდრისთვის. თანაც ის ხომ მთლიანად ალენას ეძღვნება.

ახლა ერთ-ერთ ახალ ფოტოსურათს გთავაზობთ, მთლიანად კი ფოტოსესიის მასალებს ჰოლდინგის Mediaset საიტზე თუ გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ ის ნამდვილად დაამშვიდებს გამწარებულ მეკარეს.

**ოჯახი**

# ახალგაზრდობა ღირსებაა, სიბერე კი დანაშაული?

**თაობათა კონფლიქტის თეორიამ ფსიქოლოგიური დასაბუთება ჰპოვა ზ. ფროიდის მოძღვრებაში. მან „ოიდიპოსის კომპლექსის“ სახელწოდებით ცნობილი მიმართება მშობლებსა და შვილებს შორის ადამიანთა დიდ ჯგუფებზე გაავრცელა.**

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. მარკუზემ ე. წ. „ოიდიპოსის კომპლექსი“ დააშორა ოჯახურ საზღვრებს და ფართო სოციოლოგიურ ასპარეზზე გადაიტანა. მისი აზრით, კონფლიქტური დამოკიდებულება მთელი თაობებისთვის არის დამახასიათებელი.

ლონდონის წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი პიტერ ფონეჯი ფროიდის თეორიის კრიტიკას ნაწილობრივ გამართლებულად მიიჩნევს, მაგრამ მის მიუხედავად, ეს თეორია დღესაც ყველას იზიდავს და გვახსენებს, თუ რატომ ჩავდივართ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ისევ ჩვენ გვაყენებს ზიანს, რატომ ვხვდებით ისევ და ისევ ერთი და იგივე კონფლიქტში, რატომ გამოვდივართ მშობლების წინააღმდეგ და სხვა. საჭიროა თუ არა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ოიდიპოსის კომპლექსის თეორია — ეს უკვე სხვა საკითხია.

სოციალურ ფსიქოლოგიაში კონფლიქტის ძირითად მიზეზად მოლოდინთა შეუთანხმებლობას მიიჩნევენ. საქმე ისაა, რომ ძველი და ახალი თაობა, დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი, რძალი, სიძე სოციალური როლებია. როლის შესრულება ქცევის გარკვეულ რეპერტუარს გულისხმობს. ეს უკანასკნელი უკავშირდება მოლოდინთა იმ სისტემას, რაც თითოეული ტრადიციების მფლობელს გამოუმუშავდა აღზრდით, ეროვნული ტრადიციების ზეგავლენით. შესაძლებელია ადამიანი გახდეს დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი, რძალი, სიძე, მაგრამ „სოციალური ფსიქოლოგიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, იღებს თუ არა პიროვნება შინაგანად როლს, როგორია მისი განწყობისეული დამოკიდებულება იმ რეალურ კავშირ-ურთიერთობებთან, რომელშიაც იგია ჩართული“ (შ. ნადირაშვილი).

შვილის დაქორწინება თითქმის საბოლოო გამოყოფას ნიშნავს მშობლებისგან. მაგრამ თუნდაც ცალკე ცხოვრობდნენ, უფროს და უმცროს თაობას შორის მყარდება თვისებრივად ახალი ურთიერთობა. ეკონომიკური, სამეურნეო თუ სხვა საოჯახო პრობლემები დასახმარებლად უფროსებს უხმობს. ოჯახური ცხოვრებით გამოწვეული სიხარული, დაბრკოლებები, ეჭვი, მერყეობა, გულისტკივილი მშობლებსა და შვილებს შორის ემოციურ სიახლოვეს მოითხოვს.

მშობლებთან ცხოვრობენ შვილები, ცალკე, დედამთილები და მამამთილები, სიდედრები და სიმამრები გარკვეულ როლს ასრულებენ საოჯახო ურთიერთობებში. ამ ურთიერთობაში ზნეობრივი გადახრებით გამოწვეული შეცდომები მოდის როგორც ახალგაზრდების, ისე მოხუცების წილად. ეს შეცდომები გავლენას ახდენს ოჯახის აღმზრდელობით ფუნქციაზე.

ისიც უნდა ითქვას: მშობლების შვილებთან ცხოვრება მხოლოდ საოჯახო მეურნეობაში დახმარების საჭიროებით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ, ძირითადად იმ მოთხოვნილებით, რომელიც მარტოობისაგან გამოწვეულ ფსიქიკურ დაძაბულობას ხსნის. მედიცინამ დაამტკიცა, რომ ის მოხუცები, რომლებიც შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობენ — დიდხანს ცოცხლობენ. იაპონელმა მეცნიერმა კეიიტა მორისიტამ საქართველოს მკვიდრთა დღეგრძელობის საიდუმლო სწორედ რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებაში დაინახა. რადგან განვითარებული პიროვნებისათვის საოჯახო ურთიერთობა მოთხოვნილებადაა ქცეული, ამ ურთიერთობის დარღვევას მძიმე, ჯანმრთელობისთვის საშიშ განცდებამდე მიჰყავს ადამიანი. ამ პრობლემის სირთულე უკავშირდება იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ძველსა და ახალ თაობას შორის.

წინააღმდეგობის დაძლევას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ნაკლებადაა დამუშავებული მოხუცთა ფსიქოლოგია და ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემათა შორის ნაკლები ყურადღება ექცევა საოჯახო ურთიერთობის კულტურის აღზრდას.

ოჯახურ ურთიერთობებში კონფლიქტს ხანძარს შევადარებდი. თუ ხანძარს საწვავს არ დავამატებთ, იგი თავისუფლად ჩაქრება. უბედურება ისაა, რომ ხშირად როგორც ახალგაზრდები, ისე მოხუცები ერთმანეთს ეჯიბრებიან საწვავის დამატებაში. თითოეული ცდილობს ძველი წყენის გახსენებას.

უფროს და უმცროს თაობას შორის ურთიერთობაში ახალგაზრდებს მოეთხოვებათ მოხუცთა თავისებურებანის გათვალისწინება. მოხუცებულობას შემოდგომის ბაღს, ჩამავალ მზეს, ბინდის შემოპარებას ადარებენ. ხომ ლამაზია ეს ყოველივე. ამ საპატიო ასაკში ადამიანები იძენენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიბრძნეს, მოზომილ სიფრთხილეს, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მაინც ძნელია მოხუცებულობის საზიდი ტვირთი. ჩივიან, წუწუნებენ მოხუცები: სანამ ახალგაზრდები ვიყავით, ძალა მოგვდევდა, მაგრამ არ ვიცოდით, რაში დაგვეხარჯა, როცა მოვიდა გამოცდილება და ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ — ძალა აღარ გვაქვს.



ურთიერთობის კულტურასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა უფროსი და უმცროსი თაობა ახერხებს მოხუცთა გამოცდილებისა და ჭაბუკური ენერგიის შეერთებას.

ერთია, ყოველთვის კომპენსირდება თუ არა სიბერე ცოდნითა და გამოცდილებით, ყოველთვის შეუძლიათ თუ არა ასაკში შესულთ სიბერისა და გამოცდილების გაწონასწორება? მაგრამ ამ გაწონასწორებაში ახალგაზრდებსაც რომ დიდი როლი ეკუთვნით, ესეც ცხადია. ამაში ადვილად დავრწმუნდით, როცა უფროსკლასელებს (თბილისის 72-ე სკოლა), პროექციის მეთოდით, ვთხოვეთ წარმოედგინათ თავიანთი თავი როგორც ბებიებს, პაპებს, რძლებს, სიძეებს.

**გთავაზობთ ამონარიდებს მათი შეხედულებებიდან:**

● ბებია ყველაზე კეთილი არსებაა. ერთხელ სკოლაში კარნავალი იყო. ბებია ღამის სამ საათამდე იჯდა და კერავდა. დილით ჩემი საკარნავალო კაბა მზად იყო (გოგონა)

● ყველას აქვს დასვენების დღე, ბებიას კი არა. რაც არ უნდა დაღლილი იყოს, მაგიდას მაინც გამიწყობს, იქვე დამიჯდება და სანამ არ დავამთავრებ, თვალებში შემომცქერის (ბიჭი).

● მე რომ მშობელი ვიყო, არ ვაიძულებდი ჩემს შვილს ჩემთან ეცხოვრა. თუ საშუალებაა, შვილის ოჯახმა ცალკე უნდა იცხოვროს (ბიჭი).

● მე რომ მშობელი ვიყო, არ დაველოდებოდი იმას, რომ ჩემმა შვილმა სპეციალურად მთხოვოს დახმარება.

● ბებია ძლივს დათანხმდა, რომ ჩემს ძმას დაეხმაროს ბავშვის აღზრდაში. რამდენჯერმე შევესწარი, რომ ის ისე ზრდის შვილიშვილს, როგორც მას სურს და არაფერს ეკითხება ბავშვის დედას.

● ჩემი რძალი მორიდებული და მომთმენი გოგოა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბრაზდება (გოგო).

● მე რომ ოჯახი მექნება, არასოდეს ავუკრძალავ ბებიასა და პაპას შვილიშვილთან ურთიერთობას და ამას მათ დასასჯელად არ გამოვიყენებ (გოგო).

● მე რომ ბებია ვიყო, არასოდეს არ დავეხმარები შვილს იმ მიზნით, რომ სიბერეში სანაცვლოდ მზრუნველობა დავიმსახურო. ბებიასა და პაპას შვილიშვილისადმი მზრუნველობა ყოველთვის უნდა უხაროდეს (გოგონა).

● დედამთილმა შეიძლება შენიშვნა მისცეს რძალს, რძალს კი დედამთილისთვის შენიშვნის მიცემა არ შეშვენის (ბიჭი).

● ბებია ჩვენთან ცხოვრობს, მაგრამ იგი ყოველთვის ცალკე ჭამს. დედას არ ელაპარაკება. დედა კეთილი და მხიარული ქალია, მაგრამ ისიც სულ გაჩუმებულია. შინ მისვლა მეზარება. დედა ხშირად ავადმყოფობს. ბებია ყოველთვის იმას ჩივის, რომ დაიღალა ცხოვრებით, სიკვდილი უნდა. მე მგონი, ბებია ჩვენთან რომ არ ცხოვრობდეს, დედა კარგად იქნებოდა (ბიჭი).

● მე რომ რძალი ვიყო, თუნდაც ძალიან ვიყო გაბრაზებული ჩემს დედამთილზე, ავად თუ გახდება, საჭმელს მაინც მივუტანდი (გოგო).

● ვისურვებდი ჩემი პაპისნაირი ვყოფილიყავი. არასოდეს არ გისაყვედურებს, შენიშვნასაც არ მოგცემს, მაგრამ რაღაცით მაინც გაგრძნობინებს, რომ შენით უკმაყოფილოა. ეს ჩემზე ძალიან მოქმედებს (ბიჭი).

● ბებიას და პაპას შეუძლიათ შენიშვნა მისცენ შვილს და არავითარ შემთხვევაში რძალს ან სიძეს (ბიჭი).

● ბებოს, როცა ვეუბნები, რომ მისი გაკეთებული სადილი გემრიელია, — ძალიან უხარია.

● რა იქნება დედამ და მამამ ასე გაახარონ ხოლმე (გოგონა).

უფროსკლასელთა შეხედულებებში ნათლად გამოჩნდა როგორც ახალგაზრდების, ისე მოხუცთა შეცდომები.

ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, თქვენ დგებით სიკვდილის პირისპირ;

ჩვენ გვიხარია თქვენი ახალგაზრდობა, ჩვენი სიბერე რატომ გზარავთ?

ახალგაზრდობა ღირსებაა, სიბერე კი დანაშაული?

მერე რა, რომ დავბერდი, სისხლი აღარ ჟრიამულობს ძარღვებში. იქნებ სიბერე ტვინის ერექციით გაგვეზომა და არა სექსუალური ერექციით! (მარკესი).

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ გპატიობთ ყველაფერს, მაგრამ არ ვივიწყებთ არაფერს!

**როზა ირემაშვილი,**
**იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 25 წლის, მყავს 2 შვილი, მათ შორის უმცროსი 2 თვისაა. ვმუშაობ ბანკში მაღალ ხელფასზე. მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ. მინდა გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება. ადრე ეს დასაშვები იყო. გთხოვთ, მაცნობოთ, ისევ მოქმედებს ასეთი წესი?**

**ალინა იმნაიშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შვებულება ბავშვის (შვილიშვილის) მოსავლელად შეუძლია აიღოს ბავშვის ბებიამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ ახალი შრომის კოდექსით, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) საერთო ჯამით მხოლოდ 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეძლევა.

* * *

**კითხვა: შეიძლება თუ არა ინდივიდუალური დავის განხილვა შემათანხმებელი პროცედურებით?**

**ანა ბოცვაძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ გზით დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებსა და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, განისაზღვრება თუ არა წერილობითი ხელშეკრულებითი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე?**

**ოთარ მჭედლიძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს როგორც დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე, ისე მისი ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

**კითხვა: 10 წელია, ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟში?**

**მარიამ ბზეკალავა**

**პასუხი:** მოქმედი კანონის მიხედვით, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლებათ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

**ს/ს „თბილმრეწვმშენი 3“-ის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ ოთარ და ლევან ბიბილეიშვილებს**
**სოფიო ბიბილეიშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს თავმჯდომარის მოადგილეს გურამ ახობაძეს**
**დედის**
**გარდაცვალების გამო.**

**კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“**

### განცხადება

### კავშირის გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ

**2010 წლის 30 იანვარს, 12 საათზე გაიმართება კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“ გამგეობის წევრთა სხდომა მისამართზე: ქ. თბილისი, დარიალის შესახვევი №12 (სკ „საადვოკატო ბიურო სვანიძე და პარტნიორების“ ოფისში). გამგეობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა დღის წესრიგია: 1. კავშირის ახალი წევრების მიღება, 2. კავშირის წევრთა საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### ჰაიტელ ჯადოსანთა გამოცანები

**ცოცხლად დამარხულ ადამიანთა კვნესა... სამარიდან ამოსვლის ამაო ცდები... ესაა ამერიკული სათავგადასავლო ფილმის „გველი და ცისარტყელას“ კადრები, რომლის შექმნის საფუძველი გახდა რეალური სამეცნიერო კვლევები.**

1982 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის ეთნობოტანიკოსი უეიდ დევისი ჰაიტიზე ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა. ქალბატონმა დევისმა აღმოაჩინა, რომ ადგილობრივ ჯადოსნებს შეუძლია შხამის დამზადება, რომელიც ღრმა ლეთარგიულ ძილს იწვევს. თუკი ფხვნილს ადამიანს კანში ჩაუზელთ, იგი ნერვული სისტემის დამბლას გამოიწვევს, სუნთქვა თითქმის შეუძლებელი გახდება. ადგილობრივ სასულიერო პირთა დახმარებით მისის დევისმა შეძლო ჯადოსნებთან შეხვედრა და ანალიზისთვის შხამის ნიმუშებიც მიიღო. შხამის მთავარი ინგრედიენტი აღმოჩნდა ტეტრადოქსინი, პარალიტიკური მოქმედების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერმოქმედი შხამი, რომელსაც შემცვარი თევზი-ძაღლი შეიცავს.



აი, ამ შხამს ხომ არ უზელავდნენ კლაირვიუს ნარგიზს, ამერიკული სათავგადასავლო ფილმის გმირს, რომელიც შხამიანი ფხვნილის ზემოქმედების შედეგად „საღათას ძილით“ იძინებს, თუმცა გონება წამითაც არ ეთიშება? დაკრძალვის შემდგომ კი იგი საკუთარი... ექსგუმაციის მოწმე ხდება, ბოლოს კი მას ბანგს აძლევენ, რომელსაც „ზომბის კიტრის“ სახელით ცნობილი მცენარიდან იღებენ. ნარგიზი კი ცოცხლდება, თუმცა ადამიანებთან დაბრუნება აღარ შეუძლია და სამუდამოდ ზომბი რჩება.

ამ შხამიანი ფხვნილის დამზადების საიდუმლოება ჰაიტიზე ჯერ კიდევ 400 წლის წინათ იყო ცნობილი. ერთი კია: მეცნიერებმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შეძლეს იმის გარკვევა, თუ როგორ მოქმედებს ტეტრადოქსინი და რატომაა, რომ მსხვერპლი გონზე რჩება.

### ყბედობის ჩემპიონი

**შეუსვენებლად 124 საათი შეძლო ლაპარაკი ფრანგმა ლუი კოლემ, რითაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. 62 წლის კოლე ხუთი დღისა და ოთხი ღამის განმავლობაში ქვეყანაზე რაც კი რამ არსებობს, ყველაფერზე ლაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვის დიდი ნაწილი მაინც ორ თემას — კატალონურ კულტურასა და სალვადორ დალის მიეძღვნა. „ყბედობის“ ჩამპიონი კი მანამდე წარმოშობით ინდოელი იყო, რომელმაც შეუსვენებლად „მხოლოდ“ 120 საათი ილაპარაკა.**

### „მზად ვარ, ყველაფერი გავცე...“

**ხუთ გვერდზე 1946 წელს დაწერილი ლეგენდარული ფრანგი მომღერლის, „პარიზის ბეღურად“ წოდებული ედიტ პიაფის სასიყვარულო წერილი, რომლის ადრესატი ბერძენი მსახიობი დიმიტრის ჰორნი იყო, 1500 ევროდ გაიყიდა.** პიაფმა და ჰორნმა ერთმანეთი ათენში მომღერლის გამოსვლისას გაიცნეს. „მზად ვარ ყველაფერი გავცე შენი გულისთვის“, — წერდა პიაფი სატრფოს, რომელთანაც მრავალი წლის ურთიერთობა ჰქონდა.

## დღის კალენდარი

### 15 იანვარი

**32-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.**



ამოდის 07.26
ჩადის 16.54



ამოდის 06.51
ჩადის 16.54

**წინადღესასწაული ნათლისღებისა. ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა სილიბისტრო რომის პაპისა (335ძ. მოწამისა თეოგენისა, პარიელ ეპისკოპოსისა (დაახლ. 310ძ. ღირსი სერაფიმე საროველისა — სასწაულთმოქმედისა (1833ძ, მოწამისა გიორგი გურჯისა (1770-1777ძ, მოწამისა ბასილი ანკვირელისა, რომელი იწამა კესარიას, ღირსი დედისა თეოდოტიას; მღვდელმოწამე ისიდორესი, ანტიოქიის ასურეთიდან; ღირსისა მარკოზ ყრუისა; კოზმა I-სა, კონსტანტინეპოლის პატრიარქისა (1081ძ; მართლისა სერიოლოს ვალიელისა (VIძ.**

### დაიბადნენ:

**1622 — მოლიერი (ჟან ბატისტ პოკლენიძ,** ფრანგული კლასიციზმის ხანის დიდი დრამატურგი. გარდაიცვალა 1673 წელს.
**1809 — პიერ ჟოზეფ პრუდონი,** ფრანგი სოციალისტი, ანარქიზმის თეორეტიკოსი. გარდაიცვალა 1865 წელს.
**1821 — მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინი,** გამოჩენილი რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1889 წელს.
**1845 — ნიკო ცხვედაძე,** საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. სათავეში ჩაუდგა თბილისის ქართული გიმნაზიის (მომავალი ქართული უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული შენობისძ აგების საქმეს. გარდაიცვალა 1911 წელს.
**1850 — სოფია კოვალევსკაია,** ცნობილი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1891 წელს.
**1891 — ოსიპ მანდელშტამი,** გამოჩენილი რუსეთელი პოეტი. დახვრიტეს 1938 წელს.
**1929 — მარტინ ლუთერ კინგი,** ამერიკელი რელიგიური მოღვაწე, პასტორი. გარდაიცვალა 1968 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1934 — ბარ ჰერმანი,** ავსტრიელი მწერალ-დრამატურგი.

### მოვლენები:

**1759 წელი** — ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმი გაიხსნა.
**1797 წელი** — ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა პოლონეთი საბოლოოდ, მესამედ გაიყვეს.
**1892 წელი** — ქალაქ სპრინგფილდის უნივერსიტეტის გაზეთში პირველად დაიბეჭდა კალათბურთის თამაშის წესები.
**1943 წელი** — დასრულდა პენტაგონის მშენებლობა, რომელიც 16 თვეს გრძელდებოდა და 83 მილიონი დოლარი დაჯდა.
**1971 წელი** — ეგვიპტეში საზეიმოდ გაიხსნა ასუანის კაშხალი.
**1973 წელი** — აშშ-ს პრეზიდენტმა ნიქსონმა შეწყვიტა სამხედრო ოპერაციები ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.
**1992 წელი** — ევროპულმა კავშირმა ცნო სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა, რითაც დაიწყო ყოფილი იუგოსლავიის დაშლა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**იაპონია** — სრულწლოვანთა დღე.
**ვენესუელა** — მასწავლებლის დღე.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6997 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4306 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7222 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6309 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4979 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1164 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1286 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1574 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4900 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 — +7 |
| ქუთაისი. | +13 — +15 |
| ბათუმი. | +14 — +17 |
| ზუგდიდი. | +12 — +14 |
| თელავი. | +3 — +8 |

## დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის“ 14 იანვრის ნომრის მე-8 გვერდზე დაბეჭდილი წერილის „დაზავების ნიშნები ქართველებს იმედებს უსახავს“, მესამე სვეტის მეორე აბზაცის პირველი წინადადება ასე უნდა იკითხებოდეს: **„ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა, რომელიც დაიკეტა 2006 წლიდან, დაეხმარება აგრეთვე სომხეთსაც — ტრადიციულად მოსკოვის ყველაზე ახლობელ მოკავშირეს სამხრეთ კავკასიაში“.**

**რეკლამა**
**გ. ახვლედიანის ქ. №19.**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

**ძუკუმ ლატარიის ბილეთების გამყიდველთან მიირბინა.**
**— რამდენია მთავარი მოგება?**
**— 50 ათასი ლარი.**
**— ტირაჟი როდისაა?**
**— ერთი კვირის შემდეგ.**
**— ნამეტანი გვიანია მაგი! მე ეს ფული შაბათისთვის მჭირდება!**

* * *

**პატარა მიხო ბებიას მოეხვია:**
**— ბებო, თარიღების მიმატება ან გამოკლება შეიძლება?**
**— არ ვიცი, შვილო. რატომ მეკითხები?**
**— იმიტომ, რომ მამამ მანქანით მარმარილოს დაფა მოიტანა და კუთხეში მიაყუდა. მასზე ასეთი წარწერაა: „საყვარელ სიდედრს მადლიერი სიძისგან“, ქვემოთ კიდევ შენი დაბადების თარიღი და გამოკლების ნიშანია...**



* * *

**რუსი მამაკაცი მშრალ ღვინოს სველ არაყს ამჯობინებს.**

* * *

**განცხადება სამედიცინო მედიცინის განყოფილებაში:**
**„გინეკოლოგიით გატაცებულებს ვთავაზობ კერძო პრაქტიკულ მეცადინეობებს. ნასტია“.**

* * *

**როდესაც შენს საქმეს აკეთებ, კმაყოფილებას ღებულობ, როდესაც სხვისას — მუშტებს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.